


# ხობის მოამბე

№22-23 (7058) 30 ნოემბერი, ორშაბათი, 2015 წელი.
ფასი 1 ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის გაზეთი


## ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

25 ნოემბერს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე **ედიშერ ჯობავა**.

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოსა და გამგეობის ხელმძღვანელი პირები. განხილულიქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები:

განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედური არჩევნების შედეგად ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მელორი გელანტიას უფლებამოსილების ცნობის შესახებ", რომლის თანახმადაც საკრებულოს წევრად გურიფულის მაჟორიტარულ ოლქში არჩეულიქნა კოალიცია „ქართული ოცნების" მიერ წარდგენილი კანდიდატი **მელორი გელანტია**.

სხდომაზე მორიგ საკითხად განხილულიქნა ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტი, რომლის მიხედვითაც 2016 წლის შემოთავაზებული ვარიანტით ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი განსაზღვრულია 6601,6 ათასი ლარით, მათ შორის საგრანტო შემოსავლების ხარჯზე მოდის 2347,7 ათასი ლარი, გადასახადები 3450,0 ათასი ლარი, სხვა შემოსავლები 424,6 ათასი ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება–379,3 ათასი ლარი.

წინა წელთან შედარებით საშემოსავლო ნაწილი გაზრდილია 177,4 ათასი ლარით, გადასახადები შემცირებულია 550,0 ათასი ლარით, საგრანტო შემოსავლები გაზრდილია 575,9 ათასი ლარით.

ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტით ხარჯები განისაზღვრა 6410,6 ათასი ლარით. აქედან: შრომის ანაზღაურება–1789,4 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურება 1017,6 ათასი ლარი, სუბსიდიები 3084,1 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფა–423,2 ათასი ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის საოპერაციო სალდო განისაზღვრა 188,3 ათასი ლარით, არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვრა 337,9 ათასი ლარით. აქედან: ზრდა–41,4 ათასი ლარი, კლება–379,3ათასი ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა 149,6 ათასი ლარით. ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა 6601,6 ათასი ლარით, აქედან: ხარჯები –6410,6 ათასი ლარით, არაფინანსური აქტივების ზრდა–41,4 ათასი ლარით, ვალდებულებების კლება–149,6 ათასი ლარით.

პროექტი მცირე კორექტირების შეტანის შემდეგ დაუბრუნდა ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

სხდომაზე შემდეგ საკითხად განხილულიქნა განკარგულების პროექტები „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ამორტიზებული ქონების ჩამოწერაზე თანხმობის მიცემის შესახებ" და „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ნუსხის დამტკიცების შესახებ", რომლის მიხედვითაც გამგეობის მიერ მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული იმ ქონების ჩამონათვალი, რომელიც აუდიტორული დასკვნების საფუძველზე ამორტიზირებულია და ექსპლოატაციისთვის უვარგისი. ესენია: ავტომანქანები–რენო–მეგანი და ფორდ-მონდეო, ასევე ქ. ხობში, სპორტის ქ. 3-ში მდებარე სპორტ დარბაზის შენობა, შესაბამისად დამტიცდა აღნიშნული ქონების საპრივატიზებო ნუსხა.

მორიგ საკითად განიხილეს განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" რომლის თანახმადაც ა(ა)იპ „ლაზიერზე" იჯარის წესით გაიცემა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება, მდებარე ქ. ხობი, ცოტნე დადიანის ქ. 185-ში, მე-3 სართულზე 21 კვ.მ ფართი, ჭადრაკის მოყვარულთა კლუბის გახსნის მიზნით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

## პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" ხობის საოლქო მე-3 კონფერენცია

2015 წლის 26 ნოემბერს, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში გაიმართა მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველოს" ხობის საოლქო ორგანიზაციის მესამე კონფერენცია.



კონფერენციას ესწრებოდნენ და სიტყვით გამოვიდნენ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველოს" გენერალური მდივანი ბატონი **კახა კალაძე** და პარტიის აღმასრულებელი მდივანი ბატონი **ირაკლი კობახიძე**.



კონფერენციას უძღვებოდა პედაგოგი ქალბატონი **ლეილა კიტია.**

კონფერენციამ ღია კენჭისყრით აირჩია ხობის საოლქო ორგანიზაციის თავმჯდომარე, ბიუროს წევრები და პარტიის ყრილობის დელეგატები.

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველოს" ხობის საოლქო ორგანიზაციის თავმჯდომარედ არჩეულიქნა **ვარაზ გაბედავა**.

საოლქო ორგანიზაციის ბიუროს წევრებად არჩეულიქნენ:

1. **გოჩა ქაჯაია**
2. **ედიშერ ჯობავა**
3. **ლევან ქავთარაძე**
4. **დოდო გაბუნია**
5. **ქეთევან ოდიშარია.**

პარტიის წევრთა ყრილობის დელეგატებად არჩეულიქნენ:

1. **ვარაზ გაბედავა**
2. **გოჩა ქაჯაია**
3. **ედიშერ ჯობავა**
4. **ლევან ქავთარაძე**
5. **დოდო გაბუნია**
6. **ქეთევან ოდიშარია**
7. **გიორგი გერგაია**

ამით კონფერენციის დღის წესრიგი ამოიწურა.

## ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტი (პროექტი)


5-12


## 2016 წლის 1 ივლისიდან ყველა პენსიონერისთვის პენსია 180 ლარი გახდება



# საქართველოს პრემიერ-მინისტრმა COP21-ის მონაწილეებს მიმართა



საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გაეროს კლიმატის ცვლილებების ჩარჩო კონვენციის მხარეთა კონფერენციის (COP21) მონაწილეებს მიმართა.

საქართველოს მთავრობის მეთაურმა სიტყვით გამოსვლა საფრანგეთში მომხდარ ტერორისტულ აქტზე საუბრით დაიწყო და საფრანგეთის პრეზიდენტს და ფრანგ ხალხს მიუსამძიმრა.

ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, პარიზის ტრაგიკულმა მოვლენებმა მთელ მსოფლიოზე და საქართველოზე უდიდესი გავლენა მოახდინა.

„ამ რამდენიმე კვირის განმავლობაში, ასეთ მძიმე ვითარებაში თქვენი ხალხის უპრეცედენტო თავშეკავებამ, სიმტკიცემ და სიმხნევემ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. მე წილად მხვდა პატივი, ვყოფილიყავი სორბონის უნივერსიტეტის სტუდენტი. პარიზს ყოველთვის მივიჩნევდი მეორე სახლად. დარწმუნებული ვარ, რომ ეს დიდებული ქალაქი და ქვეყანა გაუძლებს ბოროტი ძალების თავდასხმებს, რომელთა მიზანიცაა გაანადგურონ ყოველივე ის, რის აშენებასაც ჩვენ, ამ დარბაზში შეკრებილნი, ვცდილობთ. გარწმუნებთ, ამ ძნელბედობის ჟამს მე და ქართველი ხალხი თქვენ გვერდით ვდგავართ და მზად ვართ ნებისმიერი სახის დახმარებისთვის“,–განაცხადა პრემიერმა.

ტერორიზმი არის ნათელი მაგალითი იმისა, რომ არსებობს გამოწვევები, რომლებსაც ვერც ერთი ქვეყანა მარტო ვერ გაუმკლავდება,–აღნიშნავს ირაკლი ღარიბაშვილი და საერთაშორისო საზოგადოების ერთიანობის, თანამშრომლობის აუცილებლობაზე საუბრობს.

საქართველოს მთავრობის მეთაურის თქმით, დღეს, როდესაც ტერორისტები ცდილობენ საზოგადოების დაყოფას არა მხოლოდ პარიზში, არამედ ლიბანში, მალიში, ეგვიპტეში, ნიგერიაში, თურქეთში, ტუნისსა და მსოფლიოს სხვა წერტილებშიც, მნიშვნელოვანია ერთად დგომა იმ პროგრესის დასაცავად, რომელსაც მსოფლიომ ბევრ სფეროში მიაღწია.

პრემიერ-მინისტრის შეფასებით, სერიოზული გამოწვევების ფონზე, მხედველობაშია მისაღები გრძელვადიანი მიზნები.ირაკლი ღარიბაშვილი დარწმუნებულია, რომ მხარეები კლიმატურ ცვლილებებთან დაკავშირებით არსებით და ამბიციურ შეთანხმებას მიაღწევენ, ვინაიდან, უმოქმედობის შემთხვევაში, კლიმატური ცვლილებები მთელ მსოფლიოში გამოიწვევს ტოტალურ და არაპროგნოზირებად შედეგებს, რითაც საფრთხე დაემუქრება მილიონობით ადამიანის ცხოვრებას.

სწორედ დღეს არის მოქმედების დრო. არც ერთი ქვეყანა არ არის დაზღვეული კლიმატური ცვლილებებისგან.საქართველოს რთული მთიანი ტოპოგრაფიის გამო ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებით ხშირია სტიქიური მოვლენები–წყალდიდობა, მეწყერი და ღვარცოფი. გავიხსენებ ივნისში ჩვენს დედაქალაქში მომხდარ წყალმოვარდნას, რომელმაც 19 კაცის სიცოცხლე შეიწირა და გაანადგურა თბილისის ცენტრი. გარდა ამისა, ზღვის დონის აწევამ გამოიწვია ქარიშხლებისა და სანაპიროს ეროზიის ინტენსიფიკაცია, რამაც შედეგად მოიტანა სანაპიროებისა და ინფრასტრუქტურის განადგურება“, –განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრემიერ-მინისტრის თქმით, არსებულ ვითარებაში, საქართველოს მთავრობა მზად არის, გააათმაგოს ძალისხმევა გარემოს დასაცავად.

ირაკლი ღარიბაშვილის შეფასებით, საქართველო კლიმატურ ცვლილებებთან ბრძოლაში ნამდვილი ლიდერია, განსაკუთრებით, დიდი ოდენობით განახლებადი ენერგიის გამოყენებისა და ექსპორტის გათვალისწინებით.

მთავრობის მეთაურმა კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოს მხარდაჭერა კლიმატური ცვლილებების შემცირებისკენ მიმართული მოქმედების გააქტიურებისადმი და აღნიშნა, რომ „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული სავარაუდო წვლილი კლიმატურ ცვლილებებთან დაკავშირებული“ დოკუმენტი ითვალისწინებს გამონაბოლქვის 15-25 პროცენტით შემცირებას 2030 წლისთვის. პრემიერის თქმით, 2021-2030 წლების კლიმატთან დაკავშირებულ სამოქმედო გეგმაში, რომელიც მომავალ წელს შემუშავდება, განსაზღვრული იქნება, როგორ უნდა მიაღწიოს ამ მიზანს საქართველომ და რა სახის საერთაშორისო მხარდაჭერა დასჭირდება ამ პროცესში.

მთავრობის მეთაურმა ისაუბრა ეროვნულ საკანონმდებლო დოკუმენტებზე, რომლებშიც ინტეგრირებულია კლიმატური ცვლილებების საკითხები.

პრემიერის შეფასებით, ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ საქართველო, უზარმაზარი ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის წყალობით, ელექტროენერგიის გამოსამუშავებლად განახლებადი ენერგორესურსების 80 პროცენტს იყენებს.

ირაკლი ღარიბაშვილმა ხაზი გაუსვა, რომ საქართველოს მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს განახლებადი ენერგორესურსების განვითარებას ენერგეტიკაში და ამ მიზნით ახალი სტრატეგიაც შეიმუშავა.

პრემიერის თქმით, ეს ინიციატივები ევროკავშირთან ასოცირების კონტექსტში კიდევ უფრო გაძლიერდება. პრემიერ-მინისტრმა ასევე განსაკუთრებით აღნიშნა ის როლი, რომლის შესრულებაც ქალაქებს კლიმატური ცვლილებების ეფექტიანი შემცირების კუთხით შეუძლიათ.

ირაკლი ღარიბაშვილმა იმედი გამოთქვა, კონფერენციაზე მიღწეული იქნება ახალი საერთაშორისო შეთანხმება კლიმატურ ცვლილებებთან დაკავშირებით, რომელიც იქნება საკმარისად ამბიციური, იმისთვის, რომ უზრუნველყოს გლობალური დათბობის 2-გრადუსიანი მაქსიმალური მაჩვენებლის ქვევით შენარჩუნება.

„ამ შეთანხმების მიღწევას უდიდესი მნიშვნელობა ექნება. უთანხმოება წარუმატებლობის ტოლფასი იქნება–თქვა პრემიერმა.

# საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა პარიზში, ტერორისტული აქტების შედეგად დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგო



მთავრობის მეთაური ვოლტერის ბულვარზე კაფე „ბატაკლანთან“ იმყოფებოდა.

ირაკლი ღარიბაშვილმა ფრანგ ხალხს საქართველოს მთავრობისა და ქართველი ხალხის სახელით კიდევ ერთხელ მიუსამძიმრა.

„ამ საშინელი ტრაგედიის შედეგად უამრავი ადამიანი დაიღუპა. ჩვენ ვდგავართ და ყოველთვის ვიდგებით ფრანგი ხალხისა და საფრანგეთის ხელისუფლების გვერდით, ვინაიდან ძალიან კარგად გვახსოვს, მაშინ, როდესაც ჩვენ გვიჭირდა 2008 წელს, საფრანგეთი იყო ქვეყანა, რომელმაც განსაკუთრებული მხარდაჭერა და სოლიდარობა გამოხატა ჩვენი ქვეყნის მიმართ. საფრანგეთი არის ჩვენი მეგობარი სახელმწიფო და ის, რაც მოხდა ამ ადგილას, არის საშინელი ტრაგედია. ეს არის ტერორისტული აქტი თითოეული ჩვენგანის, მთელი კაცობრიობის წინააღმდეგ. კიდევ ერთხელ ვგმობ ამ ბარბაროსულ აქტს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დღეს, მთელი მსოფლიო არის ერთ მუშტად შეკრული, დარაზმული იმისთვის, რომ ერთხელ და სამუდამოდ წერტილი დაესვას ისეთ ბოროტებას, როგორიც არის ტერორიზმი. კიდევ ერთხელ გამოვხატავ მწუხარებას პარიზში დაღუპული ადამიანების გამო“, –განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

# 2016 წლის ბიუჯეტი სოციალურად ორიენტირებული იქნება

საქართველოს პრემიერ „მინისტრმა მთავრობის სხდომაზე 2016 წლის ბიუჯეტის გადანაწილების შესახებ ინფორმაცია წარადგინა. მისი თქმით, ხელისუფლება ასრულებს დანაპირებს“ 2016 წლის ბიუჯეტი იქნება სოციალურად ორიენტირებული და გაიზრდება ხარჯები ამ მიმართულებით.

„თუ 2012 წელს ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გაწეული ხარჯები შეადგენდა 1.8 მილიარდ ლარს, 2016 წელს იგი გადააჭარბებს 3 მილიარდ ლარს, თითქმის გაორმაგებულია. მხოლოდ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის შეუფერხებელი განხორციელებისთვის გამოყოფილია 570 მილიონ ლარამდე. დღეს ყველა მოქალაქე არის დაზღვეული და სახელმწიფო ფარავს მათი მკურნალობის ხარჯებს,–განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა. მთავრობის მეთაურის ინფორმაციით, დევნილთა განსახლების ღონისძიებებისთვის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 85 მილიონი ლარი მაშინ, როდესაც სამინისტროს ბიუჯეტი 2012 წელს 25 მილიონ ლარს შეადგენდა.

ირაკლი ღარიბაშვილმა განათლების სისტემის ბიუჯეტზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ჯანდაცვის მიმართულების შემდეგ, ყველაზე დიდი ფინანსური რესურსი განათლებაში იქნება მიმართული.

„ამისათვის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 1 მილიარდ ლარამდე. 2012 წელთან შედარებით 2016 წელს 55 %-ით იქნება გაზრდილი განათლების სისტემის ბიუჯეტი. განსაკუთრებით მინდა შევეხო მასწავლებლების ხელფასის საკითხს. 2015 წლის 1 აპრილიდან განხორციელდა პედაგოგთა ხელფასების ზრდის მეორე ეტაპი და საბაზო ხელფასი გაიზარდა 405 ლარამდე. საშუალო ხელფასი 2016 წლისათვის, 2012 წელთან შედარებით, ჯამში გაიზრდება 70 პროცენტით. ასევე გაიზარდა მეცნიერთა ხელფასები,–განაცხადა პრემიერმა.

# ლევილი უნდა გახდეს ქართული კულტურის ცენტრი

ლევილის მამულის საქართველოსთან გადმოცემასთან დაკავშირებული მოლაპარაკებები ბოლო ეტაპზეა, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ჟურნალისტებს პარიზში განუცხადა.

პრემიერის თქმით, რამდენიმე თვის წინ მთავრობამ, ტექნიკური დოკუმენტაციის მოწესრიგების მიზნით, დამატებითი თანხები გამოყო, რაც წლების განმავლობაში ვერც ერთმა მთავრობამ ვერ მოაგვარა.

ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ პროცესში აქტიურად არიან ჩართული საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი და საქართველოს საელჩო საფრანგეთში.

მთავრობის მეთაური იმედოვნებს, რომ პროცესი წარმატებით დასრულდება. „დიდი იმედი მაქვს, ჩვენი წინაპრების შთამომავლები ამ პროცესს დაასრულებენ და ლევილის მამული დაუბრუნდება ქართველ ხალხს, ჩვენს სახელმწიფოს. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, როგორ გამოვიყენებთ ამ მამულს. ჩემი დავალებით, საინტერესო კონცეფცია შემუშავდა საფრანგეთში ჩვენი საელჩოს მიერ, რაშიც ასევე ჩართულია დიასპორის სამინისტრო. ვფიქრობთ, მას შემდეგ, რაც გადმოცემის პროცედურები მოგვარდება, მამული მივმართოთ ახალგაზრდებისთვის. ლევილი უნდა გახდეს ქართული კულტურის ცენტრი საფრანგეთის შუაში. მინდა, დავადასტურო ჩვენი სრული მზადყოფნა, რომ ეს პროცესი მივიყვანოთ ბოლომდე. ის, რაც არ გაკეთებულა 25 წლის განმავლობაში, ჩვენ რამდენიმე თვეში გავაკეთეთ“, - აღნიშნა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

**ნომრის სტუმარი გახლავთ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ქალბატონი დოდო გაბუნია**

# „ჩემი პროფესია და თანამდებობა, დიდი ტვირთი და პასუხისმგებლობაა“



***ქალბატონო დოდო! წლები, როგორც პედიატრს გიცნობდათ ყველა. ამჟამად მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიას ხელმძღვანელობთ. ეს საკმაოდ დიდი ტვირთია. რას იტყვით?***

–მედიცინა, კერძოდ, პედიატრია, ჩემი სიცოცხლის აზრია, რომელსაც არასდროს ვუღალატებ.

დღევანდელი ჩემი საქმიანობა, ახლოს დგას ძირითად პროფესიასთან.

გეთანხმებით, ეს თანამდებობა ნამდვილად დიდი ტვირთია და ამასთანავე, უდიდესი პასუხისმგებლობაც არის.

დაუდგე ხალხს გვერდით, გაითავისო მათი სიხარული და ჭირვარამი, დაეხმარო შესაძლებლობის ფარგლებში, ზოგჯერ შეუძლებელიც კი შეძლო, თუნდაც უმნიშვნელოდ გაუუმჯობესო ადამიანს ყოფა, აკეთო ქვეყნისთვის სასიკეთო საქმე და მოღვაწეობის შემდეგ მცირედი პოზიტიური კვალი მაინც დატოვო, არის ვალდებულება, რომელსაც ეს თანამდებობა გაკისრებს. მიუხედავად ამისა, მე მომწონს შეჭიდება რთულ საქმეებთან და დიდი სიამოვნებით ვასრულებ ჩემზე დაკისრებულ მოვალეობებს.

***ხელისუფლება სოციალურ საკითხთა მოგვარებას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს. რა ვითარებაა ჩვენს მუნიციპალიტეტში?***

–ახალი ხელისუფლება, მართლაც დიდ ყურადღებას უთმობს სოციალურ საკითხთა მოგვარებას. ამის დამამტკიცებელია პირველ რიგში, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა, რომელმაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე იხსნა.

C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა, რომლის ლოზუნგია „საქართველო C ჰეპატიტის გარეშე“ და უამრავი სხვა პროექტები, რომელსაც ახორციელებს მთავრობა.

ასევეა ჩვენს მუნიციპალიტეტშიც. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პაკეტი მოიცავს: დიალიზზე მყოფ პაციენტთა ყოველთვიურ დახმარებას;

C ჰეპატიტით დაავადებულთათვის გამოკვლევის ერთჯერად დაფინანსებას;

გარკვეული თანხით დახმარებას საოპერაციო ავადმყოფებისთვის;

მრავალშვილიანი ოჯახების, დედ-მამით ობოლი ბავშვების, 100 წელს გადაცილებული მოქალაქეების ერთჯერად დახმარებას;

სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის სახლების შესაკეთებლად ერთჯერადი თანხით დახმარებას;

მშობიარობისას ერთჯერად დახმარებას;

შშპ-ის 0-18 წლამდე ასაკის სამედიცინო რეაბილიტაციისას ერთჯერად დახმარებას;

ომის ვეტერანთა სოციალური უზრუნველყოფის ხარჯებს;

უმწეო კატეგორიაზე სასმელი წყლის ხარჯის ანაზღაურებას;

უმწეოთა ერთჯერად დახმარებას;

ხანძრითა და სტიქიით დაზარალებულთა დახმარებას;

უსახლკაროდ დარჩენილთათვის ყოველთვიური ბინის ქირის გადახდას;

სარიტუალო მომსახურებას (ხობის ვეტერანთა და დევნილთა დაკრძალვის ხარჯები). ქალაქში ფუნქციონირებს უმწეოთა სასადილო, სადაც შეჭირვებული ადამიანები დღეში ერთჯერ სრულფასოვანი სადილით იკვებებიან.

ჩვენი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, მუნიციპალიტეტში სოციალური საკითხების მოსაგვარებლად დახარჯული თანხა გაიზარდა 40%-ით. მომავალშიც შენარჩუნებული იქნება ზრდის ტენდენცია.

***სხვა მრავალთაგან, ხომ ვერ გაიხსენებთ პროექტს, რომელიც თქვენი ინიციატივით განხორციელდა და გეამაყებათ?***

–განსაკუთრებით ამაყი ვარ იმით, რომ ჩვენი გუნდის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ძირითადი აქცენტები გაკეთდა პატარებზე. ჩვენი მომავალი თაობის კეთილდღეობა ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად იქნა აღიარებული. განხორციელდა ქალაქ ხობის №2 საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაცია. აღსაზრდელებს და პერსონალს შეექმნათ შესანიშნავი პირობები სტანდარტების დონეზე.



სხვადასხვა სახის რემონტი ჩაუტარდა მუნიციპალიტეტის 14 საბავშვო ბაღს. ასევე გაგრძელდება 2016 წელსაც. გათვალისწინებულია N1 საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაცია.

ჩემი ინიციატივით, გამგებლის, საკრებულოს თავმჯდომარის და საკრებულოს წევრთა თანადგომითა და მხარდაჭერით ა(ა)იპ „ხობის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანებაში“ დაშვებულიქნა ექიმი პედიატრის შტატი. ამჟამად პატარებს ემსახურება კვალიფიციური ექიმი, რომელიც ყოველდღიურად ზრუნავს მათ ჯანმრთელობაზე. მის მოვალეობაში შედის მენიუს შედგენაც, სადაც გათვლილია კალორიების, ცილების, ცხიმების და ნახშირწყლების სწორი ურთიერთშეფარდება, რაც შესაბამისობაშია საქართველოს მთავრობის 15.01.2014 წლის №78 დადგენილებასთან „ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებაში კვების ორგანიზაციის სანიტარული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ“.

ვთვლი, რომ ეს არის ჩემი ინიციატივით განხორციელებული საუკეთესო პროექტი. ანუ, არსებული რესურსის პირობებში, მაქსიმალური ეფექტის მოხდენა მოხერხდა, რაც აისახა სკოლამდელ დაწესებულებებში მყოფ ბავშვებთან მიმართებაში.

***პროექტი, რომელიც გინდოდათ და მიზეზთა გამო ვერ განხორციელდა?***

–ასეთს ვერ ვიხსენებ. წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ხელისუფლებაში მოსულია გუნდი, ადამიანთა ჯგუფი, რომელთაც აერთიანებთ საერთო იდეები და პრინციპები. ნებისმიერ საკითხს, პროექტს განვიხილავთ ერთად, ურთიერთ აზრთა გათვალისწინებით. შესაბამისად, თუ კი ჩემს მიერ იქნებოდა რაიმე პროექტი ინიცირებული, ის აუცილებლად განხორციელდებოდა, თუ ბიუჯეტი მოგვცემდა ამის საშუალებას. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ გეგმაში გვაქვს ბევრი საინტერესო პროექტი, რომელთა განხორციელებაც დამოკიდებულია მომავალი წლის ბიუჯეტის შესაძლებლობებზე.

***თქვენ, წარმატებული ქალბატონი, დიდი და წარმატებული ოჯახის დედაბოძი ბრძანდებით. ბევრი გვსმენია თქვენს მონაგარზე–შვილებსა და შვილიშვილებზე. მომიყევით მათ შესახებ.***

– ნამდვილად, ბედნიერი ქალი ვარ. მყავს მეუღლე, ორი ვაჟი, შესანიშნავი რძლები და ოთხი არაჩვეულებრივი შვილიშვილი: არჩილი, დაჩი, მარიამი, ბარბარე.

ჩემი უფროსი ვაჟი, ირაკლი (დაჩი) ბერაია, ბანკ „ქართუ-ში“ ცენტრალიზებული ადმინისტრირების დეპარტამენტის დირექტორია. მახარებს, რომ ის აქტიურ მონაწილეობას ღებულობს იმ საქველმოქმედო საქმიანობაში, რომელსაც ბანკი ახორციელებს.

ლევანი თი ბისი ბანკის ერთ-ერთი ფილიალის დირექტორია. ცდილობს, აკეთოს კარგი საქმეები ჩვენი რაიონის მოსახლეობის სასიკეთოდ.

უფროსი შვილიშვილი, არჩილი, მესამე კლასის წარჩინებული მოსწავლეა. დანარჩენები საბავშვო ბაღში დადიან. იმედი მაქვს, პატარები გაიზრდებიან ნამდვილ მამულიშვილებად. ისევე იქნებიან შეყვარებული ჩვენს ლამაზ და კოპწია ქალაქზე, როგორც მათი მამები.

***ზამთრის პირზე, როგორც ექიმი და როგორც დედა, რას ეტყვით ჩვენს მკითხველს?***

–ახლა ყველაზე მეტი მოფრთხილება სჭირდება ჩვენს პატარებს, რადგანაც ამ პერიოდში აქტიურდებიან ვირუსები. დიდია მწვავე რესპირაციული ინფექციებით დაავადების საფრთხე, რასაც შეიძლება მოყვეს სერიოზული გართულებები. განსაკუთრებით ხშირად ავადდებიან ბავშვები, მათი სუსტი იმუნური სისტემის გამო. ვურჩევ მშობლებს, მოარიდონ შვილები თავშეყრის ადგილებს, საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობას, კონტაქტს დაავადებულ ადამიანებთან, დაიცვან ჰიგიენური ნორმები, ხშირად ამყოფონ ბავშვები სუფთა ჰაერზე, გაანიავონ საცხოვრებელი ოთახები. მიაღებინონ მეტი ხილი და ბოსტნეული.

ვსარგებლობ შემთხვევით და თქვენის ნებართვით, მინდა ვურჩიო მშობლებს, არ თქვან უარი იმუნიზაციაზე. აუცილებლად აცრან პატარები ასაკისა და სქემის მიხედვით. ამით აარიდებენ შვილებს ისეთ დაავადებებს, რომლებთანაც ბრძოლა ძალიან ძნელია თანამედროვე საშუალებებითაც კი.

***გმადლობთ ინტერვიუსთვის.***

–თქვენც დიდი მადლობა, ქალბატონო ნანი. წარმატებებს გისურვებთ თქვენც და გაზეთის შემქმნელ მთელ კოლექტივს.

**ესაუბრა ნანი კილასონია**

# წარმატებული პროექტები ხობში

***კალენდარზე წლის ბოლო თვის პირველი დღეები აიფურცლა. დადგა ჟამი განვლილის განსჯისა და შეფასებისა. ამჟამად თვალს ვავლებ მუნიციპალიტეტში „თანადაფინანსების ფარგლებში“ და „აწარმოე საქართველოში“ პროექტების განხორციელებას, რომელიც გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. ხობში სიმინდის მარცვლის გადამამუშავებელი და ზეთის მიმღები ქარხანა წლის ბოლომდე უნდა გაიხსნას...***

***თვალს ახარებს ქ.ხობში, გუბაზ მეფის ქუჩაზე მიმდინარე მშენებლობა. ქარხანაში იმ დროს მივედი, როცა ეზოში დანადგარების ჩამოტვირთვა მიმდინარეობდა.***

***ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე ვესაუბრეთ სიმინდის მარცვლის გადამამუშავებელი და ზეთის მიმღები ქარხნის დირექტორს ბატონ გიორგი ბუკიას.***



***ბატონო გიორგი!***

***ქარხანა, რომლის გახსნაც წლის ბოლომდეა დაგეგმილი, თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში შენდება. რას გვეტყვით, საიდან მოვიდა იდეა, რა წარმადობის იქნება, პირველ ეტაპზე რამდენი კაცი დასაქმდება, მუშახელი ხომ არ გიჭირთ, სპეციალისტები ხომ არ გჭირდებათ და ა.შ. მრავალი კითხვა დაგროვდა თქვენი მისამართით, რადგან, როგორც ვიცი, ასეთი ქარხანა რესპუბლიკაში პირველია და ხალხის ინტერესიც დიდია.***

–დიახ, მიმდინარე პროექტი მთავრობის მიერ წამოწყებული თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში ხორციელდება.

იდეა წლების წინ საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარმა დეპუტატმა გოდერძი ბუკიამ გააჟღერა და მის განხორციელებაში ბატონ გოდერძისთან ერთად ბევრ ადამიანს მიუძღვის წვლილი. 90 %-იანი დატვირთვის შემთხვევაში 50 ტონა სიმინდის მარცვლის გადამუშავება არის შესაძლებელი, რის შედეგადაც მივიღებთ 41 ტონა სიმინდის გულგამოცლილ მარცვალს, 3,5 ტონა სიმინდის კოპტონს და 1,65 ტონა რაფინირებულ, დეზოდორირებულ და ვინთერიზებულ უმაღლესი ხარისხის სიმინდის ზეთს, რომელიც გაიყიდება ბრენდი „ქარვა“-ს სახელით. ჩვენი პროექტი ორიენტირებულია ადგილობრივი წარმოების და სამუშაო ადგილების შექმნაზე, სიმინდის კულტურის პოპულარიზაციაზე, ასევე სხვა წარმოებების შექმნაზე, რადგანაც სიმინდის მარცვლის წარმოებაში გამოყენებას ძალიან ფართო სპექტრი აქვს, შესაძლებელია 40 - მდე დასახელების პროდუქტის მიღება, ამის ნათელი მაგალითია კომბინირებული საკვების ქარხანა, რომელიც მშენებლობის პროცესშია.



სპეციალისტებთან დაკავშირებით, სამწუხაროდ, გვაქვს პრობლემები, ქარხნის ექსპლუატაციაში შესვლიდან 50 მდე ადამიანი დასაქმდება, ბევრი პოზიცია დღესაც ვაკანტურია.

***დანადგარები, მოწყობილობა როდის და საიდან უნდა ჩამოვიდეს და მონტაჟი როდის დამთავრდება?***

–დანადგარები ჩინურ - იტალიურია, რომლებიც გასულ კვირას ჩინეთიდან ფოთში ჩამოგვივიდა. განბაჟების და ტრანსპორტირების პროცედურების შემდეგ ქარხნის ტერიტორიაზე დასაწყობდა. დეკემბრის შუა რიცხვებში დასრულდება ქარხნის მოსამზადებელი სამუშაოები, რის შემდეგაც დაიწყება დანადგარების მონტაჟი.

***მინდა გთხოვოთ, განმიმარტოთ, როგორ წარიმართება ურთიერთობები კერძო პირსა და ქარხანას შორის. სოფლებში იქნება ე.წ. სიმინდის ჩასაბარებელი პუნქტები თუ?***

–ნედლეულს შევისყიდით კონტრაქტორებისგან, რომლებსაც ექნებათ ჩამბარებელი პუნქტები, სადაც მოსახლეობა ჩააბარებს სიმინდის მარცვალს.

ყველა პოზიცია მოითხოვს განსხვავებულ უნარ-ჩვევებს და გამოცდილებას, მაგრამ ქარხანაში დასაქმებული ადამიანის ძირითადი კრიტერიუმი იქნება საქმის მიმართ პასუხისმგებლობა, გუნდურობა, ენთუზიაზმი.

***ანაზღაურებაზე, ალბათ, წინასწარ ვერაფერს მეტყვით, მაგრამ მაინტერესებს, დაახლოებით მაინც რამდენი იქნება?***

–სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, იქნება განსხვავებული ხელფასები, საშუალოდ, პოზიციების მიხედვით 400-დან 800 ლარამდე.

***ბატონო გიორგი, რა ხდება სოფელ ხორგაში, უკვე ექსპლოატაციაში შესულმა ორმა მცირე საწარმომ გაამართლა?***

_„აწარმოე საქართველოში“ -ს ფარგლებში ხორციელდება პროექტი „კოლხური ნობათი“, რომელიც მოიცავს მეხორცულ მეფრინველეობას, მერძეულ-მეხორცულ მეცხოველეობას, ასევე თანამედროვე სტანდარტების შესაბამის სასაკლაოს. ამ ეტაპზე მეფრინველეობის ფერმა ექსპლუატაციაშია გაშვებული და დასაქმებულია 15 - მდე ადგილობრივი მუშახელი, ხოლო სასაკლაოს სარემონტო სამუშაოები დეკემბრის ბოლოსკენ დასრულდება. ვფიქრობ, საახალწლო სუფრაზე „კოლხური ნობათის“ პროდუქცია ექნება მომხმარებელს.



***მომავლისთვის რას გეგმავთ?***

–სამომავლო გეგმები, ღვთის წყალობით, ძალიან დიდი და მრავალმხრივია. ძალიან მნიშვნელოვანია მთავრობამ გააგრძელოს ბიზნესის მხარდაჭერა. მიმდინარე პროექტებში დაგროვილი გამოცდილება და შეძენილი პარტნიორები გვაძლევენ ახალი საქმეების დაწყების შესაძლებლობას.

***კომბინირებული საკვების მწარმოებელი მშენებარე ქარხნის დირექტორი ბატონი მამუკა ბუკია გვესაუბრება მომავალ გეგმებზე.***



–კომბინირებული საკვების მწარმოებელი ქარხანა შ.პ.ს. „კოლხურის“, ისევე როგორც შ.პ.ს. „კოლხას“ დამფუძნებელია საქართველოს მცენარეული ზეთების კომპანია „ქარვა“.

ხობში ამ პროფილის ქარხნის აშენების იდეის (როგორც ბევრი სხვა რამის) სულისჩამდგმელია პარლამენტარი ბატონი გოდერძი ბუკია.

მართალია ქარხანა ჯერჯერობით მშენებლობის პროცესშია (სავარაუდოდ იანვრის ბოლოს დამთავრდება), მაგრამ უკვე გარკვეულია როგორი წარმადობის იქნება იგი.

ქარხნის საქმიანობის სფერო სახელწოდებიდანაც ჩანს. ძირითადად განსაზღვრულია თევზის, ქათმის, ღორის, მსხვილფეხა პირუტყვის უმაღლესი ხარისხის საკვების წარმოება. დღეს ბაზარზე წარმოდგენილი ფერმერები და საოჯახო მეურნეობები საკუთარი ძალებით ახდენენ მარცვლეულისა და კონცენტრატების შერევას, რაც ბუნებრივია, ვერ უზრუნველყოფს საჭირო სტანდარტებს. ქარხნის ტექნიკური აღჭურვილობა კი იმის გარანტი იქნება, რომ ეს პროცესი მოხდება დოზირებულად, მეცნიერულად დადგენილი ნორმების მიხედვით. რაც მთავარია, პროდუქტს თანდართული ექნება ლაბორატორიულად შემოწმების სერთიფიკატი.



ჩვენი მიზანია ადგილობრივი ფერმერებისთვის მომგებიანი შეთავაზება ტექნოლოგიური და ღირებულებითი კუთხითაც.

სრული დატვირთვის პირობებში ქარხანა ერთ საათში შეძლებს 5 ტონა პროდუქციის დამზადებას. ასე, რომ „კოლხა“ და „კოლხური“ ერთი დამფუძნებლის შვილობილია. ამიტომაც ორივე ურთიერთს ავსებს.

კომბინირებული საკვების ერთ-ერთ მთავარ ელემენტს სიმინდსა და სიმინდის კოპტონს „კოლხა“ მოგვაწვდის, ხოლო მზესუმზირის კოპტონს (მზესუმზირის ზეთს) კი მოგვაწვდის კომპანია „ქარვას“ შვილობილი მზესუმზირის ზეთის მწარმოებელი კომპანია დედოფლის წყაროდან. დანარჩენ საკვებ დანამატებს (ხორბალს, ქერს და ა.შ.) შევიძენთ ბაზარზე. უნდა გითხრათ, რომ ქარხანაში დავამზადებთ უმაღლესი ხარისხის კლასიფიცირებულ საკვებს. მაგალითად ღორის საკვები იქნება სხვადასხვანაირი (გოჭზე, მეძუძურზე, მოზარდზე, სასუქ ღორზე) და ა.შ. ასევე იქნება ფრინველებსა და თევზებზეც.

პირველ ეტაპზე დასაქმებული იქნება 40-მდე ადამიანი, ქარხნის მანქანა-დანადგარები ევროპული იქნება. პროექტი 900 ათასი დოლარის ფარგლებშია, აქედან 300 ათასი დამფუძნებლის თანხაა.

სხვა სერვისებიც გვექნება, რასაც სიურპრიზად დავიტოვებ.

ქარხანას სიამოვნებით ვტოვებ, დარწმუნებული იმაში, ეს პროექტი ხობისთვის კიდევ ერთი სავიზიტო ბარათი იქნება, რომელიც ხობელთა ოჯახებს კეთილდღეობას, სამუშაო ადგილებს, ხვავსა და ბარაქას მოუტანს, რასაც გარანტად ხელისუფლების მიერ ბიზნესის განვითარების თანადგომა და მხარდაჭერა უმაგრებს ზურგს.

**მერი ლაგვილავა.**

# „ჯორჯიან პროდაქტს რენესანსის“ ახალი სახელი ქართულ და უცხოურ ბაზარზე...

ხობში შპს „ჯორჯიან პროდაქტს რენესანსის“ მიერ დაფუძნებული ქარხანა 2013 წელს აშენდა და მასში 300 000 აშშ დოლარის მოცულობის ქართული ინვესტიცია განხორციელდა. წარმოების განვითარების მიზნით, ქარხანამ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში მოიპოვა 782 000 აშშ დოლარის ოდენობის დაფინანსება. საწარმომ შეძლო შეესყიდა თანამედროვე, უახლესი მოსახალი და შესაფუთი მანქანა-დანადგარები, ძირითადი საჭირო საწარმოო აღჭურვილობები და ნედლეული.




–ქარხანაში იწარმოება თხილის გული, მოხალული თხილი, ბლანშირებული თხილი და აგრეთვე ინოვაციური თხილის პროდუქტი-მოხალული, დამარილებული თხილი ნაჭუჭით.

გავესაუბრეთ შპს „ჯორჯიან პროდაქტს რენესანსის“ ერთ-ერთი დამფუძნებელს **ბაია სალუქვაძეს**.

**ქალბატონო ბაია, სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდაჭერის პროგრამით ხობში გაიხსნა თხილის გადამამუშავებელი ახალი ქარხანა.**

**როგორც ჩვენთვის ცნობილია, თქვენ ამ ქარხნის ერთ-ერთი დამფუძნებელი ბრძანდებით. რას გვეტყოდით ამის შესახებ?**

–GPR საწარმო თხილის თანამედროვე ქარხანაა, რომელიც სერტიფიცირებულია საერთაშორისო სტანდარტის ISO 22000-ის მიხედვით. საწარმოში დაცულია ჯანმრთელობისა და ჰიგიენისთვის აუცილებელი ყველა პირობა. მენეჯმენტი ცდილობს მუდმივად წაახალისოს თანამშრომლები და აუმაღლოს მათ კვალიფიკაცია. ჩვენი გუნდი, ყველა თანამშრომელი, ერთად ცდილობს შექმნას კონკურენტული, სასარგებლო და ხარისხიანი პროდუქცია, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო ბაზრისთვის. რაც შეეხება სახელფასო სარგოს, საშუალო თვიური ხელფასი 350-400 ლარია.



**თქვენი პროდუქცია საქართველოს საზღვრებს თუ სცილდება?**

–თხილის სხვადასხვა პროდუქციით კომპანია მუშაობს მხოლოდ ექსპორტზე. GPR-is თხილის პროდუქტები გადის ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, როგორიცაა საფრანგეთი, გერმანია, ჰოლანდია, იტალია, ბულგარეთი და სხვა, აგრეთვე ამერიკასა და კანადაში. კომპანია ახორციელებს ექსპორტს აზიის ქვეყნებშიც.



–გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის მეშვეობით ჩვენ მოვიპოვეთ გრანტი და თანმხლები აგროკრედიტი. აკუმულირებული სახსრების საშუალებით შევიძინეთ უახლესი მანქანა-დანადგარები და დავიწყეთ საწარმოს ამოქმედება. მთლიანობაში პროექტის მეშვეობით შევძელით თანამედროვე ტიპის თხილის საწარმოს შექმნა.

**რა დატვირთვით მუშაობს ქარხანა, რამდენი მუშახელია დაკავებული?**

–საწარმომ მუშაობა დაიწყო ამა წლის აგვისტოს თვეში. ამჟამად საწარმოში დასაქმებულია 90-მდე ადგილობრივი თანამშრომელი. საწარმო მუშაობს სრული დატვირთვით, რაშიც ჩართულია ქარხნის თითოეული თანამშრომელი.

**როგორი პირობებია შექმნილი ქარხანაში მომუშავე პერსონალთათვის. თუ საიდუმლო არ არის, როგორია მათი სახელფასო სარგო?**

**ქალბატონო ბაია, როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?**

–ჩვენი საწარმო მუშაობს მხოლოდ მაღალი ხარისხის თხილის პროდუქციის ექსპორტზე. ვცდილობთ, მუდმივად დავაკმაყოფილოთ მომხმარებლის ინტერესები და ხელი შევუწყოთ ქართული თხილის პოპულარიზაციას მსოფლიო ბაზრებზე. კომპანია მომავალი სეზონისთვის გეგმავს კიდევ უფრო მეტად გაზარდოს წარმადობა და სრულად დააკმაყოფილოს ევროპული ბაზარი.

*ნინო გერგაია.*

# 2016 წლის ბიუჯეტი (პროექტი)

## განმარტებითი ბარათი

ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტით შემოსავლები განისაზღვრა 6222,3 ათასი ლარით აქედან: გადასახადები 3450,0 ათასი ლარი, გრანტები 2347,7 ათასი ლარი (აქედან: 2127,7 ათასი ლარი–გათანაბრებითი ტრანსფერი, 220,0 ათასი ლარი - მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად), სხვა შემოსავლები 424,6 ათასი ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტით ხარჯები განისაზღვრა 6410,6 ათასი ლარით. აქედან: შრომის ანაზღაურება 1789,4 ათასი ლარით, საქონელი და მომსახურება–1017,6 ათასი ლარით, პროცენტი–70,4 ათასი ლარით, სუბსიდიები–3084,1 ათასი ლარით, გრანტები–12 ათასი ლარით, სოციალური უზრუნველყოფა–423,2 ათასი ლარით, სხვა ხარჯები– 13,2 ათასი ლარით.

ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის საოპერაციო სალდო განისაზღვრა–188,3 ათასი ლარით, არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვრა–337,9 ათასი ლარით. აქედან: ზრდა–41,4 ათასი ლარი, კლება -379,3 ათასი ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა 149,6 ათასი ლარით.

ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვრა 6601,6 ათასი ლარით, აქედან: შემოსავლები–6222,3 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების კლება–379,3 ათასი ლარით.

ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა 6601,6 ათასი ლარით, აქედან: ხარჯები - 6410,6 ათასი ლარით, არაფინანსური აქტივების ზრდა - 41,4 ათასი ლარით, ვალდებულებების კლება - 149,6 ათასი ლარით

### შენიშვნები ბიუჯეტის პროექტზე:

**ა) შპს ,,ხობის მოამბე“**

მიზანშეწონილი იქნებოდა საშტატო ერთეულების ოპტიმიზაცია, წლების მიხედვით შეუსრულებელია ადგილობრივი შემოსულობების გეგმა, ფაქტიურად არც იგეგმება გაზეთების რეალიზაცია მოსახლეობაზე. სულ ხარჯი 47.7 ათასი ლარი, ხოლო შემოსულობა გაზეთის რეალიზაციიდან 6.6 ათასი ლარი. შემოსულობა ბოლო წლებში არ სრულდება, მაგალითად: 2014 წელს დაგეგმილი იყო 9,2 ათასი ლარი, ხოლო შესრულება - 3,2 ათასი ლარი. რამდენადაც საკუთარი შემოსულობები (რეალიზაციიდან ამონაგები) საკუთრივ უნდა განკარგოს, მოსალოდნელია 2016 წელს ვერ დააფინანსოს ხარჯები.

**ბ) ა(ა)იპ ,,ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრი“**

ვფიქრობ, უნდა მოხდეს გარკვეულ ქვედანაყოფებში საშტატო ერთეულების კორექტირება მათი ფუქციონალური დანიშნულებისა და დატვირთვების შესაბამისად.

გაუგებარია, თუ სამუსიკო სკოლა ნაწილობრივ ფასიანია, რატომაა კომპიუტერული სკოლა უფასო ან პირიქით.

2016 წლისათვის მნიშვნელოვნად არის გაზრდილი სპორტღონისძიებების ხარჯები 2015 წელთან შედარებით. ხომ არ იქნებოდა მიზანშეწონილი, მომხდარიყო შეჯიბრებებში მონაწილეობის ანალიზი და ხარჯების გამოთავისუფლების შემთხვევაში მიიმართოს ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებაზე.

**გ) ა(ა)იპ ,,ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“**

მიზანშეწონილი იქნება მოხდეს საშტატო ერთეულების ოპტიმიზაცია. გაანალიზდეს ისინი ფუნქციონალური დატვირთვების მიხედვით. იგულისხმება კულტურის ცენტრის, კულტურის სახლისა და სახელოვნებო დარგის საშტატო ერთეულები.

**ბიბლიოთეკები:**

–ცენტრალური ბიბლიოთეკაში არის 13 საშტატო ერთეული, რაც ალბათ უნდა გაანალიზდეს და მოხდეს ოპტიმიზაცია.

–სასოფლო ბიბლიოთეკები არის 13. ყველა ბიბლიოთეკაში არის 1 საშტატო ერთეული, გარდა საჯიჯაოს ბიბლიოთეკისა, სადაც ორია. 2013-14 წლების მონაცემებით ძველი ხიბულის, ზუბის, პ. მაისის, საგვიჩიოს, ხამისქურის, შუა ხორგის, თორსისა და ახალი ხიბულის ბიბლიოთეკებს საერთოდ არ ყავდა აბონენტები, დანარჩენში ეს მაჩვენებელი 10-დან ორმოცდაათამდეა.

სასოფლო ბიბლიოთეკები ფაქტობრივად არის უმოქმედო და უნდა მოხდეს აღნიშნული საკითხზე სათანადო გადაწყვეტილების მიღება.

სასურველია გაანალიზდეს მუზეუმების ფუნქციონერებისა და საჭიროების საკითხები. მიზანშეწონილი იქნებოდა ხეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს ჩაუტარდეს სათანადო რემონტი, რათა შესაძლებელი იყოს სრულყოფილად მისი ფუნქციონირება.

დ) რამდენადაც მიმდინარეობს ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა“-ს ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „კოლხეთთან“ შერწყმის პროცესი, გაერთიანებული ბიუჯეტი წარდგენილიქნება საბოლოო განხილვისთვის.

ე) საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მუხლი 54-ეს პირველი პუნქტის ე.გ) ქვეპუნქტით „მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და სხვა პროგრამების, სტრატეგიებისა და გეგმების მომზადებას, საკრებულოსთვის დასამტკიცებლად წარდგენას და განხორციელებას“. ამდენად საჭირო არის ბიუჯეტი გათვალისწინებული სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელების დებულების შემუშავება და მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის წარდგენა თანდართული დებულების პროექტის შესაბამისად.

>>>>>>>>>> 6

# 2016 წლის ბიუჯეტი (პროექტი)

5

## ხობის მუნიციპალიტეტის ბალანსი

| დასახელება | 2014 წლის ფაქტი | 2015 წლის გეგმა | | | 2016 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის: საკუთარი შემოსავლები | სულ | მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის: საკუთარი შემოსავლები |
| **შემოსავლები** | **9 097,9** | **10,035.5** | **3 787,9** | **6 247,6** | **6 222,3** | **0,0** | **6 222,3** |
| გადასახადები | 4 280,2 | 4 000,0 | 0,0 | 4 000,0 | 3 450,0 | 0,0 | 3 450,0 |
| გრანტები | 4 245,6 | 5559,7 | 3 787,9 | 1 771,8 | 2 347,7 | 0,0 | 2 347,7 |
| სხვა შემოსავლები | 572,1 | 475,8 | 0,0 | 475,8 | 424,6 | 0,0 | 424,6 |
| **ხარჯები** | **7 235,5** | **7 169,6** | **933,7** | **6 235,9** | **6 410,6** | **0,0** | **6 410,6** |
| შრომის ანაზღაურება | 1 904,9 | 1 483,0 | 0,0 | 1 483,0 | 1 789,4 | 0,0 | 1 789,4 |
| **საქონელი და მომსახურება** | **2 304,7** | **1 754,8** | **823,6** | **931,2** | **1 017,6** | **0,0** | **1 017,6** |
| ძირითადი კაპიტალის მომსახურება | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| პროცენტი | 108,0 | 84,5 | 0,0 | 84,5 | 70,4 | 0,0 | 70,4 |
| სუბსიდიები | 2 721,7 | 3 002,2 | 0,0 | 3 002,2 | 3 084,1 | 0,0 | 3 084,1 |
| გრანტები | 0,0 | 395,5 | 0,0 | 395,5 | 12,0 | 0,0 | 12,0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 196,2 | 332,4 | 0,0 | 332,4 | 423,2 | 0,0 | 423,2 |
| სხვა ხარჯები | 0,0 | 117,2 | 110,1 | 7,1 | 13,9 | 0,0 | 13,9 |
| **საოპერაციო სალდო** | **1 862,4** | **2 865,9** | **2 854,2** | **11,7** | **-188,3** | **0,0** | **-188,3** |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | 2 658,1 | 2 767,2 | 2 927,2 | -160,0 | -337,9 | 0,0 | -337,9 |
| ზრდა | 2 691,2 | 2 970,8 | 2 927,2 | 43,6 | 41,4 | 0,0 | 41,4 |
| კლება | 33,1 | 203,6 | 0,0 | 203,6 | 379,3 | 0,0 | 379,3 |
| **მთლიანი სალდო** | **-795,7** | **98,7** | **-73,0** | **171,7** | **149,6** | **0,0** | **149,6** |
| ფინანსური აქტივების ცვლილება | -893,5 | -36,5 | -82,7 | 46,2 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| **ზრდა** | **0,0** | **46,2** | **0,0** | **46,2** | **0,0** | **0,0** | **0,0** |
| ვალუტა და დეპოზიტები | 0,0 | 46,2 | | 46,2 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| სესხები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| აქციები და სხვა კაპიტალი | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| **კლება** | **893,5** | **82,7** | **82,7** | **0,0** | **0,0** | **0,0** | **0,0** |
| ვალუტა და დეპოზიტები | 893,5 | 82,7 | 82,7 | | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| სესხები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| აქციები და სხვა კაპიტალი | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| ვალდებულებების ცვლილება | -97,8 | -135,2 | -9,7 | -125,5 | -149,6 | 0,0 | -149,6 |
| **ზრდა** | **0,0** | **0,0** | **0,0** | **0,0** | **0,0** | **0,0** | **0,0** |
| საგარეო | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| საშინაო | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| **კლება** | **97,8** | **135,2** | **9,7** | **125,5** | **149,6** | **0,0** | **149,6** |
| საგარეო | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| საშინაო | 97,8 | 135,2 | 9,7 | 125,5 | 149,6 | 0,0 | 149,6 |
| **ბალანსი** | **0,0** | **0,0** | **0,0** | **0,0** | **0,0** | **0,0** | **0,0** |
| **წინა წელს გამოუყენებელი თანხის დაბრუნება** | **0,00** | **100,20** | **49,10** | **51,10** | **0,00** | | |
| **ნაშთი წლის დასაწყისისათვის** | **1 105,30** | **216,80** | **18,60** | **198,20** | **216,80** | **18,60** | **198,20** |
| **ნაშთი საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის** | **216,80** | **80,10** | **-113,20** | **193,30** | **216,80** | **18,60** | **198,20** |
| **ნაშთის ცვლილება** | **-893,5** | **-36,5** | **-82,7** | **46,2** | **0,0** | **0,0** | **0,0** |

## ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

| ფუნქციონალური კოდი | დასახელება | 2014 წლის ფაქტი | 2015 წლის გეგმა | | | 2016 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სულ | მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის: საკუთარი შემოსავლები | სულ | მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის: საკუთარი შემოსავლები |
| **701** | **საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება** | **2 305,2** | **2 213,1** | **0,0** | **2 213,1** | **2 676,4** | **0,0** | **2 676,4** |
| 7011 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები | 2 197,2 | 2 128,6 | 0,0 | 2 128,6 | 2 606,0 | 0,0 | 2 606,0 |
| 70111 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა | 2 154,6 | 2 088,4 | 0,0 | 2 088,4 | 2 526,0 | 0,0 | 2 526,0 |
| 70112 | ფინანსური და ფისკალური საქმიანობა | 42,6 | 40,2 | 0,0 | 40,2 | 80,0 | 0,0 | 80,0 |
| 7016 | ვალთან დაკავშირებული ოპერაციები | 108,0 | 84,5 | 0,0 | 84,5 | 70,4 | 0,0 | 70,4 |
| **702** | **თავდაცვა** | **95,2** | **114,5** | **0,0** | **114,5** | **120,1** | **0,0** | **120,1** |
| 703 | საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება | 617,2 | 411,0 | 0,0 | 411,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 7032 | ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა | 617,2 | 411,0 | 0,0 | 411,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| **704** | **ეკონომიკური საქმიანობა** | **1,907,7** | **2,577,7** | **2,503,3** | **74,4** | **90,8** | **0,0** | **90,8** |
| 7042 | სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა | 1,7 | 830,5 | 794,9 | 35,6 | 50,8 | 0,0 | 50,8 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | ვალდებულებების კლება | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 06 04 | **უმწეოთა ერთჯერადი დახმარება** | **50,0** | **59,0** | **0,0** | **59,0** | **55,0** | **0,0** | **55,0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0,0 | 0,0 | | | 0,0 | | |
| | ხარჯები | 50,0 | 59,0 | 0,0 | 59,0 | 55,0 | 0,0 | 55,0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 06 05 | **ხანძრითა და სტიქიით დაზარალებულ-თა დახმარება** | **19,5** | **54,1** | **34,1** | **20,0** | **30,0** | **0,0** | **30,0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0,0 | 0,0 | | | 0,0 | | |
| | ხარჯები | 19,5 | 54,1 | 34,1 | 20,0 | 30,0 | 0,0 | 30,0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | ვალდებულებების კლება | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 06 06 | **მოსახლეობის სოციალური მდგომარეობისა და საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა** | **1,7** | **35,6** | **0,0** | **35,6** | **50,8** | **0,0** | **50,8** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0,0 | 0,0 | | | 0,0 | | |
| | ხარჯები | 1,7 | 35,6 | 0,0 | 35,6 | 50,8 | 0,0 | 50,8 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | ვალდებულებების კლება | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |

# ჩვენს მუნიციპალიტეტში

## მთავარანგელოზობა ხეთაში



21 ნოემბერს ხობის მუნიციპალიტეტის ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მთავარანგელოზ მიქაელისა და გაბრიელის სახელობის ტაძარში მთავარანგელოზობა აღნიშნეს.

სადღესასწაულო ლიტურღია ფოთისა და ხობის მიტროპოლიტმა, მაღალყოვლადუსამღვდელოესმა გრიგოლმა ტაძრის მოძღვარ ცოტნესთან და ეპარქიის სამღვდელოებასთან ერთად აღასრულა. წირვის დასასრულს მღვდელმთავარმა ქადაგებით მიმართა მრევლს და მთავარანგელოზობა მიულოცაა.

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა ყველა მართლმადიდებელ ქრისტიანს ულოცავს მთავარანგელოზობის დღესასწაულს.

## 1 დეკემბერი შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო დღეა

### 10-11 დეკემბერს C-ჰეპატიტზე უფასო გამოკვლევა ჩატარდება




**ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის (დირექტორი შ. საბახტარაშვილი) ინფორმაციით:**

**დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სამეგრელო-ზემო სვანეთის განყოფილება ხობის მუნიციპალიტეტის ხეთისა და საჯიჯაოს თემების საექიმო ამბულატორიებში 10-11 დეკემბერს ატარებს უფასო სკრინინგს (გამოკვლევა C ჰეპატიტზე), სადაც მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ნებისმიერ მოქალაქეს შესაძლებლობა ექნება უფასო გამოკვლევა ჩაიტაროს.**

## ხობელ მოჭიდავეთა წარმატებული ასპარეზი ქუთაისში







2015 წლის 20-30 ნოემბერს ქ. ქუთაისში ჩატარდა სპორტის დამსახურებული ოსტატის, მსოფლიოსა და ევროპის ორგზის ჩემპიონ თეიმურაზ აფხაზავასა და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ილია ბობოხიძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ–რომაულ ჭიდაობაში 1998-2000 და 2001-2003 წწ. დაბადებულთა შორის, რომელშიც მიწვეული იყო განათლების ცენტრის სასპორტო სკოლის ბერძნულ-რომაული ჭიდაობის ჯგუფის ნაკრები გუნდი.

ტურნირში წარმატებით იასპარეზეს ჩვენმა მოჭიდავეებმა.

პირველი ადგილის მფლობელები გახდნენ 63 კგ წონით კატეგორიაში ჯონი ხეცურიანი და 47კგ. წონით კატეგორიაში კორნელ კონჯარია, მეორე ადგილზე გავიდა 54 კგ წონით კატეგორიაში გოგა პერტაია, ხოლო მესამე ადგილს დასჯერდნენ 58 კგ. წონით კატეგორიაში მამუკა ჯოჯუა, 63 კგ. წკ. შოთა იოსავა, 69 კგ. წკ თემურ გოგოხია და 76 კგ. წკ პალიკო ქაჯაია. მწვრთნელ-მასწავლებლები ბაკურ ბუკია, ალმასხან ხუნჯუა.

ტურნირის ორგანიზატორებმა საპრიზო ადგილზე გასული სპორსმენები დააჯილდოვეს შესაბამისი ხარისხის დიპლომებით, თასებითა და მედლებით.

**ხობის მუნიციპალიტეტის ვებგვერდის მასალები: WWW.khobi-ge.**

# „24 საათიანი სუფთა, ხარისხიანი წყალი—ჩვენი საქმიანობის არსი“

**დღევანდელი ჩვენი გაზეთის სტუმარია შ.პ.ს. „საქართველოს წყალმომარაგების კომპანიის“ ხობის სერვისცენტრის მენეჯერი ხვიჩა პაპაბაძე.**

***ბატონო ხვიჩა, თქვენი სამსახური აღნიშნული სტატუსით—„საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ხობის სერვისცენტრი“, როდიდან არსებობს და ვის კომპეტენციაში შედის?***

—ჩვენი სერვისცენტრი 2010 წლიდან რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაქვემდებარებაშია და ვემსახურებით ხობის მუნიციპალიტეტის ქალაქსა და ჯერჯერობით რამოდენიმე სოფელს, მათ შორის: ნოჯიხევს, შუაქვალონსა და პირველ ხორგას.

***რაში მდგომარეობს კომპანიის ძირითადი მიმართულებები. ე.ი. თქვენი ფუნქცია და მიზან-ამოცანები. საამისოდ რა პროექტები განახორციელეთ. რა გაკეთდა პოზიტიური. წყლის მიწოდება და მიწოდებული წყლის ხარისხი გაუმჯობესდა თქვენი ამ კომპანიაში მოსვლის შემდეგ?***

—ჩვენი მთავარი მიზნები და საქმინობის არსი მდგომარეობს იმაში, რომ რაც შეიძლება მეტ აბონენტს ანუ მოსახლეობას



მივაწოდოთ ხარისხიანი სასმელი წყალი, რომლის განხორციელება ძალიან შრომატევადი და ძვირადღირებული მომსახურებაა. კომპანიის მიზანია, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დააკმაყოფილოს მოსახლეობა სასმელი წყლით და აღმოფხვრას მიწოდებაში არსებული ხარვეზები. მიზნის განსახორციელებლად ქალაქში დაწყებულია არსებული მოძველებული წყალგაყვანილობებისა და წყალაღების სისტემების სრული რეაბილიტაცია. სარეაბილიტაციო პროექტი მოიცავს სათავე ნაგებობის სადაწნეო რეზერვუარის გამანაწილებელი მაგისტრალებისა და ქსელების სრულ რეაბილიტაცია—განახლებას. სათაო ნაგებობაში იწარმოებს მოქმედი ჭაბურღილების ამორეცხვა, ორი ერთეული ჭაბურღილის დამატება, საქლორატორო შენობის აშენება თანამედროვე ტიპის დასაქლორი აპარატებით, ტუმბების განახლებას, განათებისა და ელექტრომოწყობილობის ახლით შეცვლას. თითქმის დასრულების პირასაა ქსელების რეაბილიტაცია. პროექტის საწყისი ღირებულება 2,4 მილიონი ლარი იყო. ახალი აბონენტებისა და ქუჩების დამატების აუცილებლობის გამო, საქმის მსვლელობისას პარალელურად ხდებოდა თანხების მოძიება და ფიზიკური სამუშაობის დამატება. ამჟამად პროექტის ღირებულებამ 3,5 მილიონ ლარს გადააჭარბა. ანგარიშგასაწევია ის სიტუაციები, რომლის გამოც პროექტის დასრულების ვადებმა გადასწია 2016 წლისთვის.

როგორც ჩემთვის ცნობილია, ქვეყნის ინფრასტრუქტურის განვითარების გრძელვადიანი პროექტი პირველ რიგში მოიცავს ქალაქსა და მის მიმდებარე და ქალაქში შემავალი სოფლების წყალსადენი სისტემების რეაბილიტაციას. მეორე რიგში სოფლად არსებული უვარგისი წყალსადენების რეაბილიტაციას და ასევე, ახალი წყალსადენების მშენებლობას პრიორიტეტების მიხედვით.

ზემოთხსენებული მიზნის მისაღწევად, რომ ნაბიჯ-ნაბიჯ მივდივართ და შედეგიც რომ უკეთესი გვაქვს, ფაქტია.

2013 წელს, როცა მუშაობა დავიწყე, გავეცანი საწარმოს წარსულს და თუ 2010 წელს სერვისცენტრს ყავდა 1800 აბონენტი, ამჟამად 2750-მდე ფიზიკური და იურიდიულ პირს ვემსახურებით. მინდა აღვნიშნო, წყლის ხარისხის გაუმჯობესება ხდება ქალაქში წნევის მომატებისა და წყლის მიწოდების გაზრდის საშუალო-დღეღამურ ხარჯზე.

დიახ, ჩემი დანიშვნის დღიდან, პირველ რიგში სერვისცენტრი დავაკომპლექტე კვალიფიციური კადრებით, რომლებთანაც ერთად უახლოეს პერიოდში ნოჯიხევის სატუმბი სადგური ავამუშავეთ, სადაც შემოვიერთეთ და დავამონტაჟეთ ასევე ახალი ტუმბოდანადგარები. ხობის სატუმბში დავამონტაჟეთ ახალი ტუმბო-აგრეგატები, შევაკეთეთ არსებული ამორტიზირებული ქსელები.

სრულიად მოვახდინეთ სოფელ ნოჯიხევის გამრიცხველიანება.

აღვადგინეთ ბიის ქსელი და გავამრიცხველიანეთ. ტექნიკური ექსპლუატაციის რაციონალურად გამოყენების შედეგად წყალი მივიყვანეთ სოფელ II გურიფულის ცენტრამდე.

ახლო მომავალში დაგეგმილი გვაქვს წყალი მივიყვანოთ ახალი სოფლის საზღვრამდე. ასევე, ახალი ქსელი ჩაიდო ქვედა და ზედა ჭიხუს უბანში, სადაც თითქმის 25 წელია წყალი არ ჰქონია მოსახლეობას. ამჟამად დაახლოებით ამ უბნის 300-მდე ოჯახი 18 საათის განმავლობაში ხარისხიანი წყლით არის უზრუნველყოფილი.

***ბატონო ხვიჩა, დამიკონკრეტეთ, სულ რამდენი აბონენტი გერიცხებათ. თითო აბონენტზე რამდენია გადასახადი. არსებობს პრობლემები გადასახადების ამოღებაში. არიან ურჩი გადამხდელები? ვისზე ვრცელდება შეღავათები? გეგმას როგორ ასრულებთ?***

—სულ 2733 აბონენტს ვემსახურებით. აქედან 175 იურიდიული ობიექტია. გამრიცხველიანებული ფიზიკური აბონენტებისთვის 1 ტონა წყლის საფასურია 42 თეთრი, ხოლო იურიდიული აბონენტებისათვის—3,75 თეთრი. ასევე გვყავს გაუმრიცხველიანებელი აბონენტები, რომლის გადასახდელი ერთ სულზე 1,77 ლარია. სოციალურად დაუცველებს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა უხდის წყლის გადასახადს.

სათავე ნაგებობის ტექნიკური გადაიარაღების შემდგომ თუ მანამდე მოვიპოვებდით დღე-ღამეში 4,5 კუბურმეტრ წყალს, ამჟამად მოვიპოვებთ და ქალაქის მოსახლეობას ვაწვდით 8,5-მდე კუბურმეტრს, რაც საკმარისზე მეტია 24 საათიანი მიწოდებისთვის.

ბევრია უარყოფითი მხარეებიც. ძველი ამორტიზირებული ჭებით სარგებლობის გამო არის წყლის დაღვრები. ჩვენთვის დანაკარგია გაუმრიცხველებიანი აბონენტების მიერ მოშვებული და მოუწესრიგებელი ონკანები, რაც 2016 წლის ბოლომდე უნდა აღმოიფხვრას. გეგმის შესრულება, ძირითადად ძველი დავალიანებების ამოღებით ხდება შემოსავლების სამსახურის მიერ. დროებით გაუმრიცხველიანებულმა აბონენტებმა არსებული პრობლემები გულთან ახლოს უნდა მიიტანონ, კარგად უნდა გაიაზრონ, რომ მათ მიერ მოუწესრიგებელი და მოშლილი ონკანები იწვევს დიდი რაოდენობით წყლის დაღვრას, რომელიც ქალაქის მოსახლეობას აკლდება. აქვე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ გამრიცხველიანების გარეშე დარჩენილი მოსახლეობა არის ძალიან ცუდი გადამხდელი, რაც უარყოფითად აისახება სერვისცენტრის გეგმის შესრულებაზე. თუმცა გეგმებს ვასრულებთ, აქედან გამომდინარე რეგიონშიც კარგი მაჩვენებელი გვაქვს. რაშიც დასაფასებელია შემოსავლების სამსახურის დაუღალავი შრომა.



***რას გვეტყოდით იმ ადამიანებზე, რომლებიც თქვენს გვერდით მუშაობენ და უდიდესი წვლილი შეაქვთ თქვენს საქმიანობაში?***

—მინდა შემთხვევით ვისარგებლო და მადლობა გადავუხადო შემოსავლების სამსახურის უფროსს ბატონ ვახტანგ ფიფიას და მის თანამშრომლებს. რაც შეეხება ტექნიკურ სამსახურს, აქ არის ბევრი პრობლემა, მაგრამ ისინიც წვიმასა თუ მზეში მაქსიმუმალური დატვირთვით კეთილსინდისიერად მუშაობენ, მათ შორის ელექტროშემდუღებლები გ. გოდორაძე, გ. სალაყაია, ზეინკალ-შემკეთებელი ა. ჭაავა. მადლობას იმსახურებს პროექტის განმხორციელებელი (სამუშაოების შემსრულებელი) გერმანული ფირმა „ჭაიჭერის“ დირექტორი ბატონი დავით წიწილაშვილი, რომლისგანაც ხშირად ვიღებთ სხვადასხვა ტექნიკურ დახმარებებს. უდიდესია კომპანიის რეგიონის უფროსის ბატონი დათა შელეგიას და ტექნიკური მენეჯერის ბატონ მამუკა ფიფიას როლი ხობში მიმდინარე პროექტებისა და მიმდინარე რემონტების განხორციელებაში. მათი დახმარებითა და მონდომებით მიმდინარე პროექტებს დაემატა 1,1 მილიონი ლარის სამუშაოები და თითქმის ყველა ქუჩაში იცვლება წყალგაყვანილობის მილები.

***რას გვპირდებით სამომავლოდ?***

—ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პიროვნებებისა და სხვა თანამშრომლების მხარდაჭერით ვცდილობთ, 2016 წლის გაზაფხულს შევხვდეთ 24 საათიანი წყალმომარაგების სისტემის უპრობლემო მუშაობით.

ჩვენი მიზანია რეალობად ვაქციოთ დანაპირები—ხობელებს წყალი უპრობლემოდ, 24 საათიანი გრაფიკით მივაწოდოთ.

**ესაუბრა ნანი კილასონია**

# ა უ ქ ც ი ო ნ ი

## ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს აუქციონს

### დანართი №1

### საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხა

| №- | დასახელება | ექსპლუატა-ციაში შესვლის წელი | დანიშნ-ულება | რაოდე-ნობა | საბალა-ნსო ღირებუ-ლება | ნარჩენი ღირებუ-ლება | აუდი-ტორ-ული შეფა-სება | „ბე" 10 % | „ბიჯ-ი" 20% | ბილეთის საფასური |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ავტომანქანა რენო-მეგანი | 1994 | ჯართი | 1 | 8000 ლარი | 3520 ლარი | 350 ლარი | 35 | 70 | 20 |
| 2 | ავტომანქანა ფორდ-მონდეო | 1994 | ჯართი | 1 | 4500 ლარი | 1980 ლარი | 220 ლარი | 22 | 44 | 20 |
| 3 | შენობა-ნაგებობა სპორტის ქუჩაზე | | დასაშლ-ელი | 1 | 47340 ლარი | 28404 ლარი | 250 ლარი | 25 | 50 | 20 |
| 4 | შენობა-ნაგებობა ახალ სოფელში | | დასაშლ-ელი | 1 | 976 ლარი | 905,71 ლარი | 80 ლარი | 8 | 16 | 20 |
| 5 | შავი ლითონის ჯართი პ/მაისის საბავშო ბაღში | | ჯართი | 1000 კგ | - | | 200 ლარი | 20 | 40 | 20 |

განცხადების მიღების ადგილია ქ. ხობი, ც. დადიანის ქუჩა №189, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა, ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახური.

განცხადების მიღების ვადაა გაზეთში ინფორმაციის გამოქვეყნებიდან აუქციონის ჩატარების დღემდე 10-00 საათიდან 18-00 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა), ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 10-00 საათიდან 14-00 საათამდე.

აუქციონის ჩატარების თარიღია 2015 წლის 30 დეკემბერი 15-00 სთ.

საბანკო რეკვიზიტები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო–707017021, მიმღები ბანკი–სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი-TRESGE22

აუქციონის ფორმით ქონების პრივატიზებისას გამყიდველის და მყიდველის მიერ ხელმოწერილ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი არის წერილობითი ხელშეკრულება, გამარჯვებული პირის მიერ აუქციონში გამარჯვებისას დამადასტურებელ ოქმზე ხელის მოწერაზე უარის თქმა ართმევს მას გამარჯვებულის სტატუსს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია, აუქციონის ჩატარებიდან საქართველოს კანონით განსაზღვრულ ვადაში, გამგეობასთან გააფორმოს ხელშეკრულება, აგრეთვე აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცების მომენტიდან 30 დღის განმავლობაში დაფაროს მის მიერ აუქციონზე დასახელებული საბოლოო თანხა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე"- ს შენატანი არ დაუბრუნდება, აუქციონის შედეგები გაუქმდება.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი (მიიღებთ გამგეობაში);

ბ)„ბე"-ს და მონაწილის ბილეთის ფასის შენატანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი;

გ) პირადობის მოწმობის ასლი:

დ) იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ ნოტარიალურად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტის ასლს;

ე) ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ მყიდველი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

სააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საწყის გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა.

ქონების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურში, საკონტაქტო პირი–ლამზირა თოდუა. ტელ-599-85-60-91

**ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა**

# ჩუტყვავილა— შემოდგომა-ზამთრის ვირუსული ინფექცია



**დაავადების შესახებ დაწვრილებით გვესაუბრება ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე–ექიმი პროფილაქტიკოსი ბატონი ჯუმბერ ტურავა.**

ჩუტყვავილა, როგორც დაავადება, პირველად XVI საუკუნეში აღწერეს იტალიელმა ექიმებმა, მაგრამ მას შემდეგაც დიდხანს მიაჩნდათ იგი ნატურალური ყვავილის ერთ-ერთ კლინიკურ ვარიანტად.

ჩუტყვავილა მწვავე ვირუსული ინფექციაა, რომელიც მიმდინარეობს სუსტად გამოხატული ინტოქსიკაციით, ტემპერატურის ზომიერი მომატებით, კანისა და ლორწოვან გარსებზე თანმიმდევრული, ტიპიური ლაქოვანი ბუშტუკოვანი გამონაყარით.

ჩუტყვავილას იწვევს ჩუტყვავილა–ზოსტერის ვირუსი. იგი ადამიანის ჰერპესვირუსია.

ინფექციის წყაროა ჩუტყვავილათი ავადმყოფი, ინფექცია გადაეცემა ჰაერწვეთოვანი და კონტაქტური გზით. ახასიათებს მაღალი კონტაგიოზურობა. 90 %–ში დაავადება გადააქვს 10 წლამდე ასაკის ბავშვებს, ხოლო მოსახლეობის 90% პრაქტიკულად იმუნურია ამ ინფექციის მიმართ. 2–3 თვის ბავშვები დედისგან მიღებული პასიური იმუნიტეტის წყალობით ჩუტყვავილათი იშვიათად ავადდებიან. არსებობისას ნაყოფის ინფიცირება ხდება ტრანსპლანცეტური გზით შესაძლოა ახალშობილის დაავადება ორსულობის უკანასკნელ პერიოდში დედის ავადმყოფობის გამო.

ჩუტყვავილას ახასიათებს სეზონურობა, უფრო ხშირია იგი შემოდგომა-ზამთრის პერიოდში, ბავშვთა კოლექტივებში ხშირია ეპიდემიური აფეთქება. გადატანილი დაავადება ტოვებს მყარ იმუნიტეტს, განმეორებით დაავადება პრაქტიკულად არ გვხვდება, მაგრამ ალბათობა არსებობს, თუმცა არ აღემატება 2-3%.

ავადმყოფი, როგორც ინფექციის წყარო, საშიშია გამოყრამდე 1–2 დღით ადრე და გამოყრის შემდეგ 3–7 დღის განმავლობაში. უკანასკნელი გამონაყარის ფუფხადქცევიდან ავადმყოფი საშიში არ არის. ნატურალური ყვავილისგან განსხვავებით ფუფხი არ შეიცავს ვირუსს.

ვირუსი ორგანიზმში იჭრება ზედა სასუნთქი გზების ლორწოვანიდან, სადაც მრავლდება და ლიმფური გზით გადადის კანსა და ლორწოვან გარსებში, შინაგან ორგანოებში, ცენტრალურ ნერვულ სისტემაში. ვირუსი გამოირჩევა უპირველესად კანის, შემდგომ კი ნერვული სისტემის დაზიანებით. ძირითადად ცვლილებებია კანსა და ლორწოვანზე.

გენერალიზებული ფორმების დროს ადგილი აქვს ორგანიზმის სისტემურ დაზიანებას. ვეზიკულური გამონაყარი ეროზიებისა და წყლულების სახით აღინიშნება კუჭ-ნაწლავის ტრაქტში, სასუნთქ და საშარდე ორგანოებში. ცენტრალურ ნერვულ სისტემაში ჩუტყვავილას გენერალიზებული ფორმები იშვიათია და უმეტესად გვხვდება დარღვეული იმუნიტეტის მქონე ბავშვებში.

გამოყრამდე 1–2 დღე შეინიშნება უმნიშვნელო სისუსტე, თავდაპირველად ჩნდება ლაქა ან პაპულა (კანის ზედაპირიდან წამოწეული), რომელიც ძალიან მალე, რამდენიმე საათში, გადაიქცევა ოვალურ ან მრგვალ ბუშტუკად გაწითლებული კანის ფონზე, ბუშტუკების შიგთავსი პირველსავე დღეებში იმღვრევა, გამონაყარი ადვილად სკდება, სითხე ილვრება და წარმოიქმნება ფუფხი. ჩვეულებრივად გამონაყარი უხვია. გამოყრა გრძელდება 3-4 დღე, თავდაპირველად გამონაყარი ჩნდება ტანზე, შემდეგ სახეზე და თავის თმიან ნაწილში, კიდურების ფისტალურ ნაწილებზე. ვეზიკულა ერთკამერიანია და ჩხვლეტის შემდეგ იჩუტება შიგთავსის დაღვრით. ვეზიკულები 1–3 დღეში ქრება და მათ ადგილას ჩნდება მუქი ფერის ბრტყელი ფუფხი, რომლის მოცილების შემდეგ ნაწიბურები არ რჩება, მათ ადგილას 2–3 თვე რჩება მუქი პიგმენტაცია.

ჩვეულებრივ, პროგნოზი კეთილთვისებიანია. დაავადება იშვიათად მიმდინარეობს მძიმედ. დიდი მნიშვნელობა აქვს კანის სისუფთავეს, ლორწოვანების გამორეცხვას სოდის 1-2% ხსნარით. ელემენტებზე შეიძლება კალიუმის პერმანგანატის 1-2% ხსნარის ან ბრილიანტის მწვანის 1-2 %-იანი სპირტიანი ხსნარის წასმა. გართულების შემთხვევაში საჭიროა ანტიბიოტიკების დანიშვნა.

საჭიროა ავადმყოფის იზოლირება ბინის პირობებში გამონაყარის განვითარებიდან 9–10 დღის განმავლობაში. დეზინფექციის ჩატარება საჭირო არ არის. საკმარისია ოთახების სისტემატური განიავება. კონტაქტში მყოფი ბავშვები საბავშვო დაწესებულებებში არ დაიშვებიან 9-10 დღის განმავლობაში.

## შ.პ.ს. „საქართველოს მელიორაცია“ აღმშენებლობის სამსახურში

კოლხეთი (ანტიკური და შუა საუკუნეების „კოლხიდა“) ჩვენი სამშობლოს საძირკველია. აქედან დაიწყო ერთიანი საქართველოს ჩამოყალიბება, როგორც ანტიკურ პერიოდში (ფარნავაზისა და ქუჯის ზეობის ხანაში), ასევე შუა საუკუნეებში (ბაგრატ III „აფხაზთა და ქართველთა მეფის“ დროს X-XI საუკუნეების მიჯნაზე).

კოლხეთის დაბლობი, სადაც სამელიორაციო სამუშაოები ტარდება, დაახლოებით 250 ათას ჰექტარ ფართობს მოიცავს, ხოლო კოლხეთის ჭაობს, სადაც ძირითადად დაშრობითი სამუშაოები მიმდინარეობს, 105 ათასი ჰექტარი უკავია.

2015 წელს შესრულდა 80 წელი, რაც დაიწყო კოლხეთის დაბლობის დაშრობისა და ათვისების რეალური სამუშაოები, მანამდე მხოლოდ პროექტირებისა და სხვა მოსამზადებელი პერიოდი იყო.

საქართველოს მასშტაბით სამელიორაციო სამუშაოებს სახელმწიფო კომპანია „საქართველოს მელიორაცია“ (დირექტორი ბატონი ლევან დვალი) ახორციელებს. იგი სამართალმემკვიდრეა საქართველოს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამსახურისა, რომელიც აწარმოებდა სამელიორაციო და წყალსამეურნეო სამუშაოებს, რომელმაც კოლოსალური როლი შეასრულა, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს ირიგაციაში, ასევე კოლხეთის ჭაობის დაშრობით საქმეში.

როგორც ცნობილია, კოლხეთის ჭაობის დაშრობა ხობიდან, კერძოდ სოფელ ქვალონიდან დაიწყო, სადაც დაარსდა კოლხეთის მიწების დაშრობის პირველი სამშენებლო სამმართველო და შეიძლება ითქვას, დღემდე ქვალონი მექანიზატორ–მელიორატორების სამჭედლოდ ითვლება.

სამელიორაციო სისტემების აღდგენითი სამუშაოები დამოუკიდებელ საქართველოში 2012 წელს დაიწყო. 2015 წლიდან კი წარიმართა როგორც სარწყავი (ძირიდად აღმოსავლეთ საქართველოში), ისე დაშრობითი სამელიორაციო სამუშაოები (დასავლეთ საქართველო). ამ პერიოდში სახელმწიფოს საექსპლუატაციოდ ათასობით ჰექტარი სარწყავი და დამშრალი ფართობები გადაეცა.

კოლხეთის დაბლობზე დაშრობითი და სამელიორაციო სამუშაოებს კომპანია „საქართველოს მელიორაციის“ დასავლეთის რეგიონის დირექცია (დირექტორი ზურაბ კუჭავა) აწარმოებს, რომელიც ხობში მდებარეობს და სადაც ხობის მუნიციპალიტეტის ათობით მკვიდრი მუშაობს.

გასულ წელს დასავლეთის რეგიონის სამსახურის მიერ 9 ობიექტზე მიმდინარეობდა სამუშაოები, აქედან უპირველესად აღსანიშნავია ჭალადიდისა და ფოთის სამელიორაციო ტერიტორიებზე 2 სატუმბი სადგურის მშენებლობა, რომლის საერთო ღირებულებამ 1, 5 მილიონი ლარი შეადგინა, აღნიშნული სამუშაოები მიმდინარე წელს–2015-ში დასრულდა.

2015 წელს სამუშაოები მიმდინარეობდა ნოჯიხევში (145 ჰა, არხების საერთო სიგრძე 8115 მეტრი შეადგინა); შუა ხორგაში (300 ჰა. 14600 გრძ/მეტრი); შავღელეში (120ჰა. 7020 გრძ/მეტრი); ახალსოფელში–285 ჰა.–23400 გრძ/მეტრი; პატარა ფოთში–450 ჰა, 13300 გრძ/მ; თორსა–ხამისქურიში 980 ჰა.–48715 გრძ/მ. სამუშაოები. ჭალადიდსა და პატარა ფოთის ტერიტორიაზე მიმდინარეობს მაგისტრალური არხების რეაბილიტაცია, სიგრძით 8350 მეტრი, რომელიც მოემსახურება 2550 ჰექტარ ფართობს. ჩატარებული სამუშაოების ღირებულებამ 3 მილიონ ლარს გადააჭარბა.

მოცულობითია მომავალი წლის სამელიორაციო სამუშაოები სამეგრელო ზემო-სვანეთის გუბერნიის ტერიტორიაზე. გარდა ხობისა, შ.პს. „საქართველოს მელიორაცია“ სამელიორაციო სამუშაოებს ჩაატარებს ზუგდიდის, აბაშის, სენაკის ტერიტორიებზე.

ჩვენს მუნიციპალიტეტში სამელიორაციო სამუშაოები ჩატარდება სოფელ პირველ მაისში 200 ჰექტარზე, ხამისქურში–200 ჰექტარზე და სოფელ გურიფულში 300 ჰექტარზე.

დასავლეთ საქართველოში შემოდგომა-ზამთრის პერიოდი ნალექიანია, რაც ბუნებრივია, აფერხებს სამელიორაციო სამუშაოების ჩატარებას, მაგრამ მელიორატორები ფიქრობენ, რომ დარჩენილ პერიოდს მაქსიმალურად გამოიყენებენ და ღირსეულად დაამთავრებენ მიმდინარე სამეურნეო წელს.

რაც შეეხება სამომავლო გრძელვადიან პერიოდს, საქართველოს მთავრობას, სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის ფარგლებში, გადაწყვეტილი აქვს სამელიორაციო სამუშაოების (მორწყვა-დაშრობა) უფრო ინტენსიურად წარმართვა. მათ შორის, განსაკუთრებით კონფლიქტურ მოსაზღვრე ტერიტორიებზე, მათ შორის გათვალისწინებულია სამელიორაციო სამუშაოები გალის რაიონშიც.

შ.პ.ს. „საქართველოს მელიორაციას“, რომელისაც აქვს უდიდესი შესაძლებლობები, სამომავლოდაც ცდილობს უდიდესი წვლილი შეიტანოს ქვეყნის აღმშენებლობაში.

***ნანი კილასონია.***

სულთათანა

## მედეა ნაჭყებია



ზღვისფერი თვალები, ქათქათა სახე, კოლხური სილამაზე მფრქველი სხივისა, ნიჭიერებითა და გემოვნებით დაჯილდოებული ნაჭყებიების ოჯახის კარგი შვილი, ორი ძმის მოსიყვარულე და, ულამაზესი კოლხი ქალბატონი მედეა ნაჭყებია. თითოეულ ხობელს, ვისაც კი მასთან ურთიერთობა ჰქონია, პირველ რიგში გაახსენდება, როგორც ნიჭიერი გერმანისტი, სცენარისტი, რეჟისორი.

ქალბატონი მედეა მისი მრავალმხრივი ხედვით, უდაოდ თვალში საცემი იყო. მის მიერ განხორციელებული ნებისმიერი სამთავრობო თუ სადღესასწაულო ღონისძიებები–რაიონული, რესპუბლიკური თუ საკავშირო მასშტაბით გამართული, უზადო იყო... მასთან მუშაობისას ძალიან ბევრს ისწავლიდი, თუნდაც ის რად ღირდა, რომ ღონისძიებების მსვლელობისას თეატრის სცენაზე თანამშრომელთა შორის სრული სინქრონულობა სუფევდა. წლების განმავლობაში ის გახლდათ კულტურის განყოფილების გამგე და კულტურის მუშაკებთან ერთად იღწვოდა ხობის კულტურის განახლება-განვითარებისთვის. ის მართლაც დიდი შემოქმედი იყო, რომელიც ეძიებდა ხობის რაიონის მასშტაბით მომღერალთა ოჯახებსა თუ სახალხო რეწვის ადგილობრივ მიმდევრებს. საინტერესო იყო ასევე მის მიერ შემუშავებული სცენარი და განხორციებული ღონისძიებები. რად ღირს თუნდაც მედეასეული „ცოტნეობის“ სცენარი, რომლის ძირეული ლაიტმოტივი წლების შემდეგ დღევანდელ ცოტნეობაშიც შეიცნობა. სადღესასწაულო ღონისძებებზე შემსრულებელი თუ დამსწრე საზოგადოება ერთ მონოლითად შეიკვრებოდა ხოლმე. ის იყო ხობელების სიყვარულით შემკრელი, სიყვარული აისახებოდა მის თანამდებობრივ თუ მოქალაქეობრივ ღვაწლში და მიუხედავად ყველაფრისა, ამ წუთისოფელში ცხოვრების გზაზე მას არც არაფერი დარჩენია, გარდა თითოეულ ჩვენთაგანში ჩათესილი სიყვარულისა. მან ბევრ ჩვენთაგანს–კულტურის მუშაკებს გვასწავლა სცენაზე დგომისა და ქცევის კულტურა. ღონისძიებების კეთების „ანი“ და „ჰოე“. მის სახელთან დაკავშირებით ბევრია დაუვიწყარი, გასახსენებელი, ის ძალიან ახლო და იმავდროს დისტანციური ჩანდა, თითქოს იღიმოდა, ხალისობდა ცხოვრებით. შინაგანად კი ნაღვლიანი და სევდიანი იყო ცხოვრების ორომტრიალით დაღლილი. მაგრამ მუდამ ახალგაზრდა და უბერებელი. სწორედ ამიტომ დღესაც გვაკლია სახელი–მედეა ნაჭყებია.

ზუგდიდში მიმავალი ყოველ ჯერზე ვიხედები მისი სახლისკენ და მტკივა მარტოობა მისი ოდაბადესი. ჩუმად უფალს ვავედრებ მის სახელს... ეს დითირამბები არ არის, მომენატრა და შევეხმიანე.

უფალმა აცხონოს. ამინ!

**ნანა ჯალაღონია,**

***ძუკუ ლოლუას სახელობის ქართული-ხალხური სიმღერის მუზეუმის „სამეგრელო“ დირექტორი.***

## „ყველას რადა ჰკლავ, სიკვდილო“...

### (ნათია ცატავა, ნინო და კოკა კაკულიები)




კალენდარზე უკვე მეორედ გამოჩნდა ის საბედისწერო თარიღი...

ვერ გავაქრე კალენდრიდან 21 ოქტომბერი...

ზღვარი ორი ოჯახის საოცარ ბედნიერებასა და უბედურებას შორის, ლამაზ სიცოცხლესა და სიკვდილს შორის...

ტკივილმა დამამუნჯა, მაშინ ვერაფერი ვთქვი, არადა, კიდევ ერთხელ მოფერება მინდოდა თქვენი- ჩემო კოკა, ნათი, ჩემო პრანჭიკელა ნინო...

მოფერება და არა გახსენება, რადგან არ იქნება წლების გაჯიბრება თქვენთან...

ამას ყოველი დღე მოწმობს- თქვენს საფლავებზე ყვავილი ჭკნობას ვერ ასწრებს, ახალი მოდის, უფრო ლამაზი, უფრო მეტი, მოდის ის ოჯახიდან, სოფლიდან, მეგობრებიდან, ასე განსაჯეთ, სრულიად უცნობი ადამიანებისგან, განუმეორებელი სიყვარულის და საოცარი ადმიანობის ლეგენდა რომ დაუტოვეთ ასე ახალგაზრდებმა...

ვფიქრობ და ვერ ამიხსნია, ეს როგორ შეძელით?

როგორ დაიმსახურეთ ეს სიყვარული, როგორ ახერხებდით გყვარებოდათ და სამაგიერო არ მოგეთხოვათ, დახმარებოდით და მადლობას არ დალოდებოდით, გაგეცათ და სამაგიერო არასოდეს მოგეთხოვათ...

უფლის სასუფეველი–თქვენ!

დრო მკურნალიაო,–ნათქვამია. არა, ჩემო ლამაზებო! თქვენს შემთხვევაში, პირიქით არის. რაც დრო გადის, ტკივილი უფრო მწვავდება და გაუსაძლისი ხდება... ფოტო და ვიდეო კადრები არ არის საკმარისი, ცივია და რაღაც შორი, მიუწვდომელი. თქვენ ხომ ასეთები არ იყავით...

თითქოს თქვენს სიკვდილზე უთქვამს პოეტს;

„ყველას რადა ჰკლავ, სიკვდილო, რად არ თვითონა ჰკვდებიო“,–და იქვე, ჩვენდა იმედად, დაუმატებია: „სახელს ვერ მოსპობ ვერც შენა, ვერც საუკუნო წლებიო“.

ახლა თქვენს სახელებს მხოლოდ მონატრება, მხოლოდ სიყვარული ჰქვია! სიამაყე ჰქვია, ასეთები რომ იყავით და ამით წუთისოფელს გვილამაზებდით!

დღეს სათხოვარი მაქვს თქვენთან, ზეციური საქართველოს ბინადარნო, დალოცეთ და განსაკუთრებით გააძლიერეთ ცრემლსა და ტკივილში გათანგული თქვენი მშობლები, სახეზე ღიმილგამქრალი ძმები! შთააგონეთ, რომ შეუძლებელი შეძლონ უთქვენოდ ისწავლონ ცხოვრება! და ეს ისევ თქვენი სიმშვიდისთვის!

მე კი დაგვიანებული ბარათი მაპატიეთ...

**მანანა ნაჭყებია**

# ღია ბარათი ვაშინგტონიდან

## ხობის №2 საჯარო სკოლის პედაგოგს ბატონ ალექსანდრე (საშა) არჩაიას



დიდად პატივცემულო ბატონო ალექსანდრე!

ეს წერილი ჩემს გონებაში იწერებოდა თითქმის ყველა იმ დღეების განმავლობაში, როცა თქვენი, როგორც ჩემი ყველაზე საყვარელი პედაგოგის არსება და მისი ცხოვრების წესი მედგა თვალწინ.

მე, ხობის მეორე საშუალო სკოლის 1972 წლის კურსდამთავრებული და გეოგრაფიულად ალბათ ყველაზე მეტად შორს მყოფი, თქვენი მოსწავლე ვარ, რომელსაც წილად მხვდა, როგორც პროფესორს, ლექციები მეკითხა მსოფლიოს სხვადასხვა კონტინენტზე.

მოსკოვში, სეჩენოვის სახელმწიფო სამედიცინო აკადემიაში, პიროგოვის სახელობის რუსეთის ნაციონალური სამედიცინო მეცნიერების უნივერსიტეტში, რუსეთის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში, გუანჯოუს სენ-იეტ-სენის უნივერიტეტში, ჩინეთში და მაიამის საერთაშორისო უნივერსიტეტში, ფლორიდის შტატში... ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია ჩემი პროფესიონალური კარიერიდან, რომელიც მხოლოდდამხოლოდ ჩემს პედაგოგიურ მუშაობასთან არის დაკავშირებული და არა სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვან, კლინიკურ, სამედიცინო თუ ადმინისტრაციულ აქტიურობებთან, რომლებსაც დღემდე ვაგრძელებ...

ამ დროის განმავლობაში მე გრძელი, სიძნელეებითა და სირთულეებით დატვირთული გზა გამოვიარე, უთვალავი ღალატისა და ბოროტების მოწმე გავხდი, ნაწილობრივ ჩემი პრინციპების დათმობაც კი ვარჩიე მშვიდობიანი და წყნარი გარემოს მოპოვებისთვის ბრძოლაში, მაგრამ, რაც არასოდეს შემიცვლია და რითაც დღეს შემიძლია ვიამაყო, ეს არის ჩემი ცხოვრების გამოცდილებით შექმნილი ფასეულობები.

ვიცი, რომ უნდა ვიყო ყველგან, ყოველთვის და ყველაფრისთვის უფლის მადლობელი, რომ მომცა სალი გონება და ანალიზის საშუალება, რომ დამანახა და გამარჩევინა კარგი ავისაგან, მაჩუქა ნიჭი სიყვარულისა, რომლითაც შესაძლებელია გულით ატარო შენი პატარა სამყარო, შენი საგანძური, რომელთა მარადიულობა არის შენში და იქნება ხელშეუხები დროისა თუ სხვა მოვლენებისგან მანამ, სანამ არსებობ და სუნთქავ... ეს არის ის სულიერი საზრდო, რომელიც იმ ფასეულობების ენერგიით გკვებავს და გვამხნევებს, გათბობს და გაკეთილშობილებს... მრავალჯერ, როცა გილხინს თუ გიჭირს, ისევ და ისევ უბრუნდები შენს ფასეულობებს და ხვდები, რომ ისინი არ უფერულდებიან, ისინი შენს მეგზურებად რჩებიან და რაც გინდ მწვერვალებს შეეჭიდო, ვერაფერს უფრო საჭიროს თუ აქტუალურს ვერ შეიძენ. ვიდრე ეს ფასეულობებია...

სწორედ ამ ჩემი ხელუხლებელი საგანძურის ნაწილი ბრძანდებით თქვენც, ბატონო ალექსანდრე, როგორც ადამიანი პროფესიონალი, თავისი მაღალი ზნეობრივი ჩვევებით, პატიოსნებით, სრული შინაგანი და გარეგანი მოწესრიგებულობით, უანგარობით, თავისი საქმის დიდი ერთგულებით, შეუდარებელი პედანტურობით, გასაოცარი სიზუსტით, კეთილმოსურნეობით, უმთავრესად სიტყვაძვირობით, მაგრამ არანაირი მიკერძოებულობით... თქვენ, რომელმაც გაგვაცნო და შეგვაგნებინა ჩვენს სამყაროში მომხდარი მოვლენების ფიზიკური აზრი და გვასწავლა ანალიზი, რომელმაც ჩვენი ყურადღება გაამახვილა მათემატიკური თვალსაზრისით ჩვენს გარშემო არსებულ სხვადასხვა სხეულებზე, და დაგვანახა მათი აგებულების ანატომია. თქვენ, რომელმაც შეგვახედა შორეულ ზეცას და მასზე განლაგებული ვარსკვლავები და ჩვენთვის უცხო და მიუწვდმელი პლანეტები გაგვაცნო. თქვენ, რომელმაც თვალი აგვიხილა და ოცნება გაგვიძლიერა, რომ წარმოგვედგინა იქ, სადღაც სხვა პლანეტაზე დედამიწის მაგვარად შეიძლებოდა ყოფილიყო სიცოცხლე... თქვენ, რომელმაც გვასწავლა განზომილებათა ერთეულებით სარგებლობა და ამით სამყაროს მართვის გასაღები ჩაგვაბარა...

მე არ ძალმიძს, წარმოვიდგინო თუ რამდენად დაგიფასდათ თქვენ თქვენი ფასდაუდებელი პედაგოგიური ამაგი, მაგრამ ნათლად შემიძლია გითხრათ, რომ ის ცოდნა და გამოცდილება, რაც დაგითესიათ, თქვენი დაუღლელობით და ენთუზიაზმით, არასოდეს არ დაკარგულა...

ჩემი საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე კი მთელი სერიოზულობით და გულწრფელობით გიცხადებთ, რომ არც არასდროს–მეტჯერ არ შემხვედრია თქვენნაირი პედაგოგი, არც ჩემი უმაღლესი განათლების მიღების პერიოდში, (ორ უნივერსიტეტში), და არც ჩემს პროფესორ-მასწავლებელ კოლეგებს შორის, რომლებიც ათეული წლების განმავლობაში ეწეოდნენ და ეწევიან საგანმანათლებლო მოღვაწეობას... მე დღესაც ყველა იმ განზომილებებით ვხსნი ფიზიკურ მოვლენებს და იმ ერთეულებით ვსარგებლობ, თქვენ ჩვენთვის, რომ ოდესმე გისწავლებიათ...

ამ წუთებში, როცა თქვენ ჩემს წერილს კითხულობთ, მე თავს ვგრძნობ უსაზღვროდ ბედნიერად, რომ შემიძლია ჩემი უსაზღვრო სიყვარული და პატივისცემა გადმოგცეთ. ვფიქრობ, ცხოვრებაში ყველაზე მთავარია, რომ ადამიანებმა ისწავლონ მადლიერების დროულად გამოხატვა ნებისმიერი გზით, სიტყვით, ჟესტით თუ შთაგონებული მზერით ან გამოხედვით... მერწმუნეთ, ბატონო ალექსანდრე,



რომ თქვენ ამ ადამიანური სამადლობელის მწვერვალზე იმყოფებით, იმ დღიდან, საიდანაც თქვენი პროფესიონალური მოგზაურობა დაიწყო...

მახათა განდიმ თავის დროზე თქვა: „მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრების მანძილზე მე მტანჯავდა მხოლოდ ერთი მტარვალი–ჩემი პატარა საკუთარი სინდისი“... მე სრულიად ვეთანხმები მას,ვინაიდან ყველაზე მწარედ სწორედ საკუთარი სინდისის ქენჯნით იტანჯები, ვიდრე სხვა ნებისმიერი ზეგავლენით.

საერთოდ, დიდ მადლიერებას ვგრძნობ მთელი სკოლის ჩვენსდროინდელ შემადგენლობისადმი. გულახდილად დავძენდი, რომ მხოლოდ ერთეულები არიან დღემდე ჩემს გულში... გამოგიტყდებით იმაშიც, რომ საშინლად განვიცდი, სათანადოდ ვერ გამოვხატე ჩემი მადლიერება, ჩვენი სკოლის სხვა პედაგოგებისადმი პირადულად მიმართვით. სამწუხაროდ, დღეს ისინი ცოცხლები აღარ არიან, მათ შორის, ჩემი პირველი მასწავლებელი, ქალბატონი ალექსანდრა (შურა) ჯობავა, ბატონები მაკარი ფალავა, გივი რუსია, ნაპოლეონ ლატარია, შალვა კალანდია, ქალბატონები: თამარ ჩაგვავა, მარიამ ალანია და მარიამ შონია. მინდა მათ ხსოვნას ნათელი მოსავდეს. ისეთივე ნათელი, როგორი სინათლეც მათ ჩვენ თაობებს გვაჩუქეს, თავიანთი ცოდნითა და პროფესიონალიზმით.

თქვენთან პირადად კი ვარ და ვიქნები უდიდეს ვალში...

ვისურვებდი, რომ ცხოვრებაში, მომეცეს საშუალება, ოდნავ მაინც შევძლო თქვენს სიკეთეზე სიკეთით პასუხი. ვიცი, რომ, რაც არ უნდა მოგისურვოთ, ბატონო ალექსანდრე, ის ყოველთვის იქნება იმაზე ბევრად ცოტა და უკმარისი, ვიდრე თქვენ იმსახურებთ, მაგრამ არ შემიძლია ამ ტრადიციას გვერდი ავუარო.

უფალს ვთხოვდი თქვენთვის ულევ ენერგიას და ჯანმრთელობას, ფიზიკურ და სულიერ გამძლეობას, სულიერ სიმშვიდეს და კმაყოფილებას.

გფარავდეთ უფალი თქვენი ოჯახის მთლიან შემადგენლობას, მისი ღვთიური მადლი გმოსავდეთ ყველგან და ყველაფერში.

უდიდესი ადამიანური მადლობა ყველაფრისთვის, კეთილი სურვილებით,

***მარინა ფაჩულია–კაკუაშვილი***

***P.S.** ორიოდე სიტყვით მინდა გაგიზიაროთ ჩემი მოსაზრება იმის შესახებ, თუ როგორი კარგი იქნებოდა, თუ ჩვენი სკოლის საიტზე, კურსთამთავრებულებს შესაძლებლობა ექნებოდათ დარეგისტრირდნენ და გამოთქვან თავიანთი შეხედულებები, ამით სკოლას მიეცემა საშუალება აწარმოოს კურსდამთავრებულთა უწყვეტი მონიტორინგი და ფლობდეს ინფორმაციას მათი განათლების, საქმიანობისა და კარიერული მონაცემების შესახებ.*

# მიხეილ იოსავას სახელობის თასის გათამაშება



23 ნოემბერს მიხეილ (მიშიკო) იოსავას დაბადების დღეს, ხობის მუნიციპალიტეტში დასრულდა 2008 წელს აგვისტოს ომში ტრაგიკულად დაღუპული რეზერვისტის მიხეილ იოსავას სახელობის თასის რიგით მერვე გათამაშება ბილიარდში. შეჯიბრში 32 მობილიარდე მონაწილეობდა. ტურნირს აჭარის და იმერეთის ბილიარდის ფედერაციიდან **თემურ კახიძე, დავით ფიფია, სოსო ფიფია, ლადო ასათიანი** და სხვა ფედერაციის უფროსები და სპორტის ოსტატები ესწრებოდნენ.



ტურნირში მონაწილეობდა საქართველოს ბილიარდის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის დავით ალექსიძეს მიერ „ვუნდერკინდის“ დიპლომით დაჯილდოებული 11 წლის **სანდრო ჩიტაია**.

დაძაბული ორთაბრძოლის შემდგომ გამოვლინდნენ ჩემპიონები და პრიზიორები. დიდებში მესამე ადგილი დაიკავა **ოთარ სახურიამ**, მეორე ადგილის მფლობელი გახდა **სანდრო ჩიტაია**, ტურნირის ღირსეული ჩემპიონი კი გახდა **ლუკა ლოლუა**, რომელსაც გადაეცა მიხეილ იოსავას სახელობის თასი, სიგელი, მიხეილ (მიშიკო) იოსავას ოჯახის მიერ დაწესებული პრიზი, ხოლო აჭარის ბილიარდის ფედერაციის პრეზიდენტისგან–სათამაშო ჯოხი (კია). პატარებში პირველი ადგილის მფლობელი გახდა **დავითი მირცხულავა**, მეორეზე გავიდა **ლუკა ბაროიანი** და მესამე ადგილზე–გიორგი ბერაია (მწვრთნელ მასწავლებელი-ლერი ბასილაია).

ტურნირის დასასრულს, სიურპრიზად, აჭარის ბილიარდის ფედერაციის ხელმძღვანელმა თემურ კახიძემ საერთაშორისო ბილიარდის ტურნირზე, რომელიც აჭარაში გაიმართება და საქართველოდან 9 მოთამაშე მიიღებს მონაწილეობას, ერთი ადგილი ხობელ მოთამაშეს დაუთმო, რამაც დარბაზში დიდი სიხარული გამოიწვია.

ბილიარდის ტურნირი გამგეობის, კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა.

მილოცვა

# მერი კვაშილავას!



**მერიკო, ჩვენო პატარავ, ჩვენო საყვარელო გოგონავ! გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ბედნიერ და ლამაზ ცხოვრებას. გაიზარდე ჯანმრთელი და სასახელო ყველას გასახარად.**

**დაე, შენთვის მუდამ ყოფილიყოს უღრუბლო ზეცა, მზე და ულამაზესი დღეები. ღვთის მფარველობა გქონოდეს ცხოვრების გზასავალზე, ჩვენო ანგელოზო!**

**გკოცნით და გეფერებით**

***ბებია გრიანა და ბაბუა გიგლა კვიკვინიები.***

დამფუძნებელი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

გამომცემელი შპს „ხობის მოამბე“

სარედაქციო კოლეგია:
თავმჯდომარე შ.პ.ს. „ხობის მოამბეს“ დირექტორი–მერი ლაგვილავა,
თავმჯდომარის მოადგილე, დირექტორის მოადგილე–ნანი კილასონია.
რედაქტორი–მანანა შულაია.
ჟურნალისტები–ნინო გერგაია, ნაირა ბერაია.
კომპიუტერული უზრუნველყოფა–ჯულიეტა ლატარია.

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შპს „ხობის მოამბეში.“
მის: ხობი, წმინდა ნინოს ქუჩა №1 ტელ: 0 (414) 22-21-13; 22-25-81; 599-50-40-57. ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.